

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი



გოგონები და ქალები
ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში:
განათლების, ეკონომიკური შესაძლებლობებისა
და პროფესიული არჩევანის პრობლემები და
პერსპექტივები

საბაზისო კვლევა

კვლევის ჯგუფი:

მაია კუპრავა შარვაშიძე

ნანა ბერეკაშვილი

ნათია ნადირაძე

თბილისი 2014

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) არის არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის უპირველესი მიზანი კონფლიქტების პრევენცია და მშვიდობიანი გზით გადაჭრის პირობების გაუმჯობესებაა. ასევე, ICCN-ის ამოცანაა საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების, გენდერული თანასწორობის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა. ამ მიმართულებებით ორგანიზაციას არაერთი პროექტი აქვს წარმატებით განხორციელებული.

„ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალებისა და გოგონების პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისთვის“ პროგრამას ახორციელებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) მერსი ქორფსთან ერთად. პროგრამა ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.



მადლობა

გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერისათვის, რომელმაც შესაძლებელი გახადა გაგვეხორციელებინა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ქალთა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის საბაზისო კვლევა.

მადლობა ჩვენ პარტნიორს მერსი ქორფსს, ქალთა ოთახების მენეჯერებსა და ჩვენს პარტნიორებს: მეგი ედიბერიძეს, ქეთევან მარტიაშვილს, ეკა თამლიანს, სვეტა დარჩიაშვილს, ნაზი კეკელიძეს.

განსაკუთრებული მადლობა კვლევაში შეტანილი წვლილისათვის ქალბატონებს გულიკო ბეჭაურს, ლეილა სულეიმანოვას, ნარინე გინოსიანს, ირმა ზურაბიშვილს, თამარ ხოფერიასა და თამო დოღბაძეს.

უღრმესი მადლობა, ყველა მონაწილეს, ვინც კითხვარი შეავსო და მონაწილეობა მიიღო ფოკუს ჯგუფების სამუშაოებში. მათი თანამონაწილეობის გარეშე პროგრამის „ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალებისა და გოგონების პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისთვის“ საბაზისო კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა.

სარჩევი

| | |
|---|----|
| შესავალი | 5 |
| საბაზისო კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია | 5 |
| პირველი კომპონენტი..... | 6 |
| მეთოდოლოგია..... | 6 |
| ნაწილი I..... | 7 |
| გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობა და სახელმწიფო პოლიტიკა..... | 7 |
| პარლამენტი..... | 7 |
| მთავრობა | 9 |
| სოციალურ - ეკონომიკური და ჯანდაცვის პოლიტიკა | 10 |
| თვითმმართველობა | 11 |
| სახალხო დამცველი..... | 13 |
| კანონები | 14 |
| ნაწილი 2..... | 17 |
| ქვემო ქართლის და სამცხე - ჯავახეთის რეგიონებში ქალთა ოთახების ფუნქციონირებისა და ქალთა საჭიროებების გათვალისწინების კვლევა..... | 17 |
| კვლევის შედეგები..... | 23 |
| რეკომენდაციები..... | 24 |
| გამოკვეთილი საგანმანათლებლო თემები | 24 |
| ძირითადი მიგნებები..... | 24 |
| ქალთა ოთახების მიზანი..... | 27 |
| ქალთა ოთახი - მომხმარებელს სთავაზობს პრაქტიკულ სერვისს:..... | 27 |
| ქალთა ოთახის მენეჯერის თანამდებობის შერჩევის აღწერის დოკუმენტი | 29 |
| კითხვარი..... | 29 |
| მეორე კომპონენტი | 32 |
| გოგონების განათლებისა და პროფესიული არჩევანის საკითხზე არსებული სიტუაცია და მონაცემები საქართველოში | 32 |
| სამაგიდო კვლევა..... | 32 |
| საკანონმდებლო ბაზა..... | 32 |
| გოგონები განათლების სისტემაში | 35 |

| | |
|--|----|
| აღქმები და სტერეოტიპები | 36 |
| გამოწვევები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში | 38 |
| ადრეული ქორწინება | 38 |
| განათლებისა და ინტეგრაციის ბარიერები | 39 |
| დასკვნა | 40 |
| გოგონების განათლებისა და განვითარებისთვის, სტერეოტიპებისაგან თავისუფალი პროფესიული არჩევანის საკითხზე არსებული განწყობების კვლევა ფოკუს ჯგუფის მეთოდით | 41 |
| ანგარიში | 41 |
| შესავალი და ძირითადი თემები | 41 |
| „გოგონები“– ფოკუს ჯგუფის თემები | 42 |
| „მასწავლებლები“ – თემები | 42 |
| „მშობლები“ – თემები | 42 |
| მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები | 43 |
| უფროსკლასელი გოგონები | 43 |
| სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია | 43 |
| მშობლები | 43 |
| ასაკობრივი კატეგორიზაცია | 43 |
| გენდერი | 44 |
| მონაცემების ანალიზი თითოეული მიზნობრივი ჯგუფისა და საკითხის მიხედვით, ციტატებითა და სიხშირული მონაცემებით | 44 |
| გოგონათა განწყობები | 44 |
| მასწავლებელთა განწყობები | 51 |
| მშობელთა განწყობები | 58 |
| მიგნებები და რეკომენდაციები | 64 |
| მიგნებები | 64 |
| უარყოფითი ტენდეციები და ხელისშემშლელი ფაქტორები | 65 |
| რეკომენდაციები | 67 |
| გამოყენებული ლიტერატურა | 69 |

შესავალი

წარმოდგენილი საბაზისო კვლევა შესრულდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის პროგრამის – **ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალებისა და გოგონების პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისთვის** ფარგლებში. საკუთრივ პროგრამა ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის სამუშაო არეალია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 13 მუნიციპალიტეტი.

პროგრამის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოფილ იქნას ქალებისა და გოგონების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო, პროფესიულ და ეკონომიკურ შესაძლებლობებში და შესაბამისად, ამაღლდეს ამ სფეროებიდან მათ მიერ მიღებული სარგებლიანობა. მთავარი მიზნიდან გამომდინარეობს 2 ქვემიზანი, რომლის მიღწევაც იგეგმება მიმდინარე პროგრამის ფარგლებში.

ქვემიზანი 1: ქალები და გოგონები სამიზნე მუნიციპალიტეტებში უფრო აქტიურად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათემო და მუნიციპალურ დონეებზე.

ქვემიზანი 2: ქალებსა და გოგონებს სამიზნე მუნიციპალიტეტებში აქვთ გაზრდილი წვდომა ინფორმაციაზე, განათლებაზე, ტრენინგებზე, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებაზე.

პროგრამის ზოგადი მიზანია ქალაქსა და სოფლად მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების (გოგონები და ვაჟები) განათლება, გააქტიურება და ეკონომიკური გაძლიერება, ინფორმირებულობის გაზრდა სათემო და მუნიციპალურ დონეებზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა დახმარებით საქართველოში გენდერული თანასწორობის დანერგვა.

საბაზისო კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

პროგრამის პირველ ეტაპზე განხორციელდა საბაზისო კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქალთა მონაწილეობის, გოგონებისა და ქალებისთვის ახალ ეკონომიკურ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებთან და არსებულ ბარიერებთან

დაკავშირებით საბაზისო მონაცემების შეგროვება პროგრამის ძირითადი ინდიკატორების შესაბამისად. საბაზისო კვლევა შესრულდა ასევე იმ მიზნით, რომ გამოკვეთილიყო ქალთა და გოგონათა ჩართულობისა და შესაძლებლობათა განვითარებისთვის უფრო ზუსტი ინტერვენციის კრიტერიუმები და ფორმები, გამოყოფილიყო ხელის შემშლელი ფაქტორების უფრო სრული სურათი და დაგეგმილიყო მართებული "შელწევის" სტრატეგიები.

საბაზისო კვლევა ორ კომპონენტად დავყავით:

პირველი კომპონენტი:

"სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობისა და ახალი მუნიციპალური სერვისის, „ქალთა ოთახების“ შესაძლებლობების განვითარება და საჭიროება: სიტუაციური ანალიზი".

მეორე კომპონენტი:

„ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გოგონების განათლებისა და პროფესიული არჩევანის საკითხზე არსებული სიტუაცია საქართველოში“.

თითოეულ კომპონენტში შესრულდა სამაგიდო და ემპირიული კვლევა. გამოყენებული იყო როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები: ქალთა ოთახების საჭიროებების საკვლევად გამოყენებული იყო ანკეტირების მეთოდი, ხოლო გოგონების განვითარებისა და პროფესიული არჩევანის საკითხზე მოსახლეობის განწყობებისა და აღქმების საკვლევად - ფოკუს ჯგუფის მეთოდი.

პირველი კომპონენტი

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობისა და ახალი მუნიციპალური სერვისის, „ქალთა ოთახების“ შესაძლებლობების განვითარება და საჭიროება: სიტუაციური ანალიზი.

მეთოდოლოგია

შერჩეულ მუნიციპალიტეტებში¹ ქალთა ოთახების საბაზისო კვლევის მიზანია: ახალი მუნიციპალური სერვისის ჩამოყალიბება და განვითარება. მუშაობის პროცესში ქალთა საჭიროებების გათვალისწინება ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშესაწყობად.

მოსამზადებელი ეტაპი - პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა საბაზისო კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია. სპეციალურად მომზადდა საბაზისო კვლევის მემო და გადანაწილდა ფუნქციები კვლევის ჯგუფის წევრებს შორის.

¹ რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ასპინძა, ახალციხე, ადიგენი და ბორჯომი.

მონაცემთა შეგროვების ეტაპი - ორი რეგიონის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 13 მუნიციპალიტეტში (რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, ნინოწმინდა, ახალქალაქი, ასპინძა, ახალციხე, ადიგენი და ბორჯომი.) ქალთა ოთახების საქმიანობის, ქალაქად და სოფლად მცხოვრები ქალების საჭიროების განსასაზღვრად სპეციალური კითხვარის საშუალებით ჩატარდა ქალთა ოთახების, მუნიციპალიტეტის ქალი თანამშრომლების, სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ქალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ კითხვარის შევსება, სულ შეივსო 371 კითხვარი. კითხვარის შევსება მიმდინარეობდა 2014 წლის 1 ივლისიდან 30 ივლისამდე.

სამაგიდო კვლევა - ა)საბაზისო კვლევის მიმდინარეობის პერიოდში არსებული დოკუმენტების (ეროვნული მოქმედებების გეგმების, სტრატეგიული დოკუმენტების, გენდერული თანასწორობის კანონის, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციების ბრძანებულებების, სხვა ნორმატიული აქტების) ანალიზი; ბ) „ქალთა ოთახების“ 2012-2013 წლების საქმიანობის მოქმედებათა გეგმის შესრულების ანგარიშები და რელევანტური ლიტერატურის ანალიზი; გ)სტატისტიკური ინფორმაცია; დ) დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ და სხვა.

ნაწილი I

გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობა და სახელმწიფო

პოლიტიკა

საქართველოში დემოკრატიული განვითარების გზაზე კვლავ პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში. მიუხედავად 2013 წელს საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე განხორციელებული არაერთი პოზიტიური ცვლილებისა და აქტივობისა, საქართველოში გენდერული თანასწორობის მაჩვენებელი კვლავ დაბალია. ქვეყნის მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია.

პარლამენტი

გენდერული თანასწორობის მხრივ, მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა მხოლოდ 12 % შეადგენს. არჩევნების შედეგად, საქართველოს პარლამენტში 150 დეპუტატიდან 77 პროპორციული სისტემითაა არჩეული, ხოლო 73 – მაჟორიტარული სისტემით. პარლამენტში შევიდა დეპუტატ ქალთა დაახლოებით 12%, რაც ორჯერ აღემატება წინა საკანონმდებლო ორგანოში ქალთა რაოდენობას. უდაოდ, პოზიტიური

ინფორმაცია, თუმცა ვერც ადგილობრივ და ვერც გლობალურ დონეზე ეს მონაცემი ვერ ცვლის ახალი პარლამენტის გენდერულ სურათს. 2013 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მონაცემებით საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობით 97-ე პოზიციას იკავებს 136 ქვეყნის მონაცემთა შორის. საქართველო ძველებურად რჩება ქვეყნად, სადაც გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებელია.

სახელმწიფო დონეზე ეფექტური გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს **ინსტიტუციური მექანიზმები**, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას. ინსტიტუციურმა მექანიზმმა ეფექტურად, რომ იმუშაოს, ანუ წარმატებით მოახდინოს გენდერული პარამეტრების ინტეგრირება სხვადასხვა სფეროში, საჭიროა, მაღალ სამთავრობო დონეზე არსებობდეს. სწორედ ამ მიზნით, სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შექმნილია გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო² (2010 წ.), რომლის მიზანიცაა, ხელი შეუწყოს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევას და საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციას საერთაშორისო ვალდებულებებთან. თუმცა, საბჭოს ჯერ კიდევ არ გააჩნია ფინანსური და ადამიანური რესურსები და არ აქვს სახელმწიფოს ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ის ჯერ კიდევ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით მუშაობს. ამდენად, ის სურათს მაინც ვერ ცვლის ქვეყანაში გენდერული ბალანსის დასაცავად, ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და იმ სტანდარტებთან მისაახლოებლად, რაც თანამედროვე მსოფლიოშია გავრცელებული.

2008-2012 წლებში საბჭოს თავმჯდომარეობდა პარლამენტის მეორე ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი; 2012 წლის არჩევნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარეა პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე. საბჭოს შემადგენლობა გენდერულად დაბალანსებულია, მისი წევრები არიან პარლამენტარები სულ, თორმეტი პარლამენტარი³.

აღსანიშნავია, გენდერული თანასწორობის მიმართულებით 2013 წელს საკანონმდებლო მოწესრიგებისა და სრულყოფისაკენ მიმართული მთელი რიგი ნაბიჯები⁴. ა/ორგანიზაციების ინიციატივითა და პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” კანონში

² საბჭოს უფლებამოსილება: საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადების შემუშავება, საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით, ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია, მონიტორინგი და ა.შ.

³ მანანა კობახიძე საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე; საპარლამენტო საბჭოს წევრები: გიგლა აგულაშვილი, დავით ბაქრაძე, ეკა ბესელია, თინათინ ბოკუჩავა, გიორგი გოზალიშვილი, ვიქტორ დოლიძე, გუგული მადრაძე, მარიამ საჯავა, ირაკლი სესიაშვილი, ნანა ყვინიშვილი, გიორგი ცაგარეიშვილი.

⁴ კერძოდ, პარლამენტში საარჩევნო სისტემების ცვლილებებთან დაკავშირებით ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ქალთა უფლებებზე და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები გენდერული თანასწორობის ქსელი და გენდერული სამართლიანობა.

ახალი მუხლით (30 მუხლის 7¹ პუნქტი) განისაზღვრა შემდეგი: „საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 30 პროცენტის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ყველა 10 კანდიდატში წარმოდგენილი იქნება გაანსხვავებული სქესი არა უმცირეს 30 პროცენტისა“ (2013 წლის 29 ივლისი).

აგრეთვე, 30 მაისს, საარჩევნო სისტემებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის რიგით მეექვსე შეხვედრაზე განიხილეს და მიიღეს ქალთა საკითხებზე და გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ა/ორგანიზაციების რეკომენდაცია „184¹–ე მუხლში 2. ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემებში თ) სქესის“ დეფინიციის დამატების შემოტანის შესახებ.

მთავრობა

გენდერული თანასწორობის მიმართულებით ქალთა წარმომადგენლობა მთავრობის უმაღლეს ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში დაბალია. ბოლო სამი წლის მონაცემებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, ქალი მინისტრების რაოდენობა მინისტრთა კაბინეტში თითქმის უცვლელია 2011 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მათი რაოდენობა არ აღემატებოდა 16% (სამი მინისტრი ქალი) ხოლო, 2013 წლის ბოლო მონაცემით ქალი მინისტრების რაოდენობამ შეადგინა 21%, დღეისათვის 2014 წლის შემოდგომისთვის ჩვენ გვყავს მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ სამი მინისტრი ქალი (19 მინისტრიდან) რაც შეადგენს 15%-ს.

გენდერული თანასწორობის მიმართულებით ინსტიტუციონალურ დონეზე 2013 წელს დაინიშნა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში⁵. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, ერთ პოზიციაზე ამხელა სეგმენტის დაფარვა, როგორცაა ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვა, შეუძლებელია სამსახურის (ოფისის) ჩამოყალიბების გარეშე, რისი დასტურიცაა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ განუხორციელებელი საქმიანობა. ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწის პოზიციის შექმნის დღიდან საუბარია ამ ორი მიმართულების ერთმანეთისგან გამოყოფის აუცილებლობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პოზიცია გენდერული თანასწორობის მიმართულებით ფიქციად დარჩება. მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ შტოში ძლიერი ინსტიტუციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, 2014 წელს სამინისტროებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დარგის სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა ადამიანის უფლებების 2014-2015 წლების სამოქმედო

⁵ 2013 წლის 6 თებერვალს, საქართველოს პრემიერ მინისტრის №32 ბრძანებით საქართველოს მთავრობის კანცელარიის საშტატო ნუსხას დაემატა თანამდებობა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ასევე, შეიქმნა თემატური საკონსულტაციო ჯგუფები.

2013⁶ წლის ივლისში სახელმწიფო უწყებებში გენდერის მრჩევლის თანამდებობის შემოღების ინიცირება დაიწყო. გენდერის საკითხებში მრჩევლის არსებობა ხელს შეუწყობს ქალთა აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ქალის როლის გაძლიერებას საჯარო სამსახურში და იმ საერთაშორისო თუ ეროვნული ვალდებულებების შესრულებას, რომელიც საქართველოს გენდერული თანასწორობის მიმართულებით აქვს აღებული. ამ ინიციატივას პირველი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამოეხმაურა - დაინიშნა მრჩეველი გენდერულ საკითხებში. დღეს იგი აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო უწყებებში გენდერული მეინსტრიმენტის პროცესში და მხარს უჭერს მრჩევლების დანიშვნას ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზეც.

სოციალურ - ეკონომიკური და ჯანდაცვის პოლიტიკა

გენდერული თანასწორობის მხრივ - 2014 წლის მდგომარეობით, ქალთა ეკონომიკური აქტივობა და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალიან დაბალია. „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“ მონაცემებით, საქართველო 64-ე ადგილს იკავებს 136 ქვეყანას შორის. კვლავ დაბალია ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც, ქვეყანა 126-ე პოზიციაზეა. აღნიშნული გარემოს ფონზე სულ უფრო მძიმეა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელ ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების.

კვლავ პრობლემად რჩება ქალებისთვის ოჯახის დაგეგმვის სერვისები და კონტრაცეპტივებზე წვდომა, რასაც ხშირ შემთხვევაში შედეგად მოჰყვება აბორტი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლებში. ამასთან, გვაქვს პრობლემა სქესის საფუძველზე დიდი რაოდენობის სელექციური აბორტების, რაც უკვე აისახა ახალშობილთა სქესის თანაფარდობაში. პრობლემაა შეზღუდული წვდომა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე მოზარდი გოგონებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს კულტურული სტიგმა.

ამ ფონზე აღსანიშნავია „საყოველთაო ჯანდაცვის“ ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ყველა მოქალაქეს უფასო ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფს და ასევე, ჯანდაცვის სისტემის სტრატეგია, 2014-2020, რომელიც მიზნად ისახავს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის ხელშეწყობას.

მისასალმებელია ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ მიმართული საკანონმდებლო ინიციატივები. მათ შორის, 2013 წლის 27 სექტემბერს, შრომის კოდექსში

⁶ არასამთავრობო ორგანიზაციის ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და კოალიციის ქალთა პოლიტიკური ჩართულობისათვის ერთობლივი ძალისხმევით.

განხორციელებული ცვლილებების თანახმად, დეკრეტული შვებულება გაიზარდა 477-დან 730 კალენდარულ დღემდე, აქედან ანაზღაურებადი შვებულება, ნაცვლად 126 დღისა, იქნება 183 კალენდარული დღე; ასევე გაიზარდა ანაზღაურებადი შვებულების დროის თანხის ოდენობაც: 126 დღეში 600 ლარის ნაცვლად, ანაზღაურდება 183 დღე 1000 ლარის ოდენობით.

მიმდინარეობს შრომის კოდექსის ცვლილებების მეორე ტალღის – ქალთა შრომითი უფლებები – პროცესი იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომელიც ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობითა და კოორდინაციით. თუმცა კვლავ რჩება მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა, რომელთა მოუწესრიგებლობა ქალთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის დაბრკოლებად რჩება.

კვლავ ყურადღების მიღმა დარჩენილი დედობისა და ოჯახის ინსტიტუტის დაცვა, რაც ყველაზე მეტად ზღუდავს ქალის დასაქმებას და პროფესიულ ზრდას. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აიღოს პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის, სწორ გაგებას, ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას. მარტოხელობის შემთხვევაში კი, მშობლის შესაბამისი სტატუსითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

პრობლემას წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის რეკომენდაციის შესრულება საქართველოს სახელმწიფოს მიერ, რომლის მიხედვითაც კომიტეტი ითხოვს გენდერული საკითხის გათვალისწინებას სიღარიბის აღმოფხვრის ყველა სახელმწიფო პროგრამასა და სტრატეგიაში და განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას ქალთა დაუცველ ჯგუფებზე, კერძოდ, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებსა და ოჯახის მარჩენალ ქალებზე.

კვლავ მაღალია ქალების უმუშევრობის დონე, გენდერული უთანასწორობა შრომითი შემოსავლების მხრივ, ძირითადად ქალები დასაქმებულები არიან დაბალ ანაზღაურებად თანამდებობებზე. მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა (2013 წელს შრომის კოდექსში ქალის ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებით), დეფიციტია და არ არის ხელშეწყობილი ბავშვის მოვლის საშუალებები (საბავშვო ბაღები, სკოლებში გახანგრძლივებული სწავლება, სახელმწიფო დაწესებულებებში ბავშვთა კუთხეები).


აგრეთვე, კვლავ არ არის დანერგილი სამუშაო ადგილზე ქალთა დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების (Harassment) შემთხვევები, რაც გამოწვეულია შრომის ბაზრის შესწავლის-დაკვირვებისა და სამართალდამცავი მექანიზმების არარსებობით.

თვითმმართველობა

გენდერული თანასწორობის მხრივ, ქალთა მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი საკრებულოებში ბოლო ოთხი არჩევნების მონაცემებით შემდეგია: 1998 წლის არჩევნების შედეგად ქალები შეადგენდნენ საკრებულოების წევრთა 14%, 2002 წელს - 12%, 2006 წელს - 11%, 2010 წელს - 10%, (საკრებულოს წევრთა საერთო

რაოდენობის 1688 დეპუტატიდან მხოლოდ 169 დეპუტატი იყო ქალი⁷). როგორც ხედავთ, ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივ დონეზე საკმაოდ დაბალია და გამონაკლისი არც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო. მთელი რიგი გატარებული ღონისძიებებისა და თვითმმართველობის კანონის რეფორმის მიუხედავად, არჩევნების შედეგები გენდერული თანასწორობის მიმართულებით სავალალოა, მთლიანად საქართველოს მასშტაბით საკრებულოებში არჩეულ ქალთა რაოდენობამ 11% შეადგინა (საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობის 2154 დეპუტატიდან მხოლოდ 246 ქალი დეპუტატია). 12 ქალაქის მერიდან არც ერთი ქალი მერი არ არის, 59 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ერთს ხელმძღვანელობს ქალი გამგებელი, თბილისის 10 გამგებლიდან მხოლოდ დიდუბის გამგებელია ქალი.

რეგიონების მიხედვით საკრებულოს წევრთა გენდერული წარმომადგენლობა შემდეგნაირია:



საკრებულოებში ქალ დეპუტატთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (20% და მეტი) ფიქსირდება შემდეგი თვითმმართველი ერთეულების საკრებულოებში: ქალაქი ოზურგეთი (47%); სიღნაღის თემი (24%); ქალაქი თბილისი (22%); ხარაგაულის თემი (21%); საჩხერის თემი (21%); ქ. ზუგდიდი (20%); სენაკის თემი (20%); ქალაქი ამბროლაური (20%); ონის თემი (20%); ახალციხის თემი (20%); ქალაქი ახალციხე (20%); ქალაქი რუსთავი (20%).

ასევე, არის საკრებულოები, რომლებშიც ქალები 5%-ზე ნაკლები რაოდენობით არიან წარმოდგენილები, ხულო (4%); ნინოწმინდა (4%); ამბროლაური (3%); ახალქალაქი (3%); მარნეული (3%). თელავის, ფოთის, მცხეთის, წალკის, ასპინძის საკრებულოებში, ქალი დეპუტატი საერთოდ არ არის წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ ქ. მცხეთის 2010 წლის საკრებულოს შემადგენლობაშიც ასევე, არ გვხვდებოდა ქალი

⁷ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაცია, 12 ივლისი, 2010.

დეპუტატები. აღნიშნული შედეგები შემაშფოთებელია ვინაიდან, მოცემულ ქალაქებში საკმაოდ დიდია მოსახლეობის რაოდენობა. (თელავი - 71 000; მცხეთა - 60 000; ფოთი 41 000)

შედეგების მიხედვით, საქართველოს 4 რეგიონში გაუმჯობესება აღინიშნება, ესენია: თბილისი, გურიის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეები. 3 რეგიონში (სამეგრელო - ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი და აჭარა) კი პირიქით, 2014 წლის მონაცემების მიხედვით, ქალ დეპუტატთა პროცენტული წილი შემცირებულია. ხოლო 3 რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი) მდგომარეობა უცვლელია.

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა დაიწყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეკომენდაციით, 2013 წლის ბოლოსთვის, საქართველოს მასშტაბით, გენდერის საკითხებში მრჩეველი 39 რაიონში ბრძანებით დაინიშნა. რამდენიმე მუნიციპალიტეტში 2014 წლიდან გამოიყოფა ცალკე შტატი მრჩეველისთვის⁸. რამაც სავარაუდოდ, ხელი უნდა შეუწყოს გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინებას, მინისტრიმინგს ადგილობრივი მმართველობის დონეზე და ქალთა მონაწილეობას და მათი ხედვის გათვალისწინებას თვითმმართველობის საქმიანობის განხორციელების პროცესში.

გადაწყვეტილების მიღებისა და გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღებისას 30-40 %-იანი ქალების წარმომადგენლობა განიხილება იმ „კრიტიკულ უმცირესობად“ რაც საჭიროა, რომ ქალებმა არსებითი ცვლილება შეიტანონ პოლიტიკურ პროცესებში.

სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი 2013 წლის 15 მაისს შეიქმნა. დეპარტამენტის შექმნას საფუძვლად უდევს 2001 წლიდან ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის საქმიანობა. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით, სასაქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გენდერული თანასწორობის სფეროში. დეპარტამენტის მიზანია გენდერული თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობა, სახალხო დამცველის რეგულარულ უფლებადაცვით საქმიანობაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი

⁸ ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაცია ოქსფამთან ერთად, მრჩეველთა სათანადოდ მომზადებაზე ზრუნავს. მრჩეველთა მომზადების პროცესში აქტიურადაა ჩართული გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

ცნობიერების ამაღლება საქართველოში გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიზნით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დეპარტამენტის ამოცანებია:

- საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის ზედამხედველობა;
- გენდერის საფუძველზე, მათ შორის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა და რეაგირება;
- სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;
- საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;
- კვლევითი კომპონენტი და ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის გაძლიერებისათვის.

დეპარტამენტის მიერ დაინტერესებულ პირთათვის გაწეული სამსახური უფასოა. განცხადებები მიიღება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტში⁹.

კანონები

გენდერული თანასწორობის მიმართულებით - საქართველოს კონსტიტუცია¹⁰ ქვეყანაში ქალების და მამაკაცების თანაბარი უფლებებით სარგებლობის გარანტია, რასაც აძლიერებს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები გენდერული ბალანსის დასაცავად¹¹.

⁹ <http://www.ombudsman.ge/>

¹⁰ კონსტიტუციის მე-14 მუხლით, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

¹¹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - 1948 წ.; კონვენცია ქალის პოლიტიკური უფლებების შესახებ - 1952 წ.; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ - 1966 წ.; საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ - 1966 წ.; დეკლარაცია საგანგებო სიტუაციებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალებისა და ბავშვების დაცვის შესახებ - 1974 წ.; კონვენცია ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) 1979 წ.; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია - 1993 წ.; პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა 1995 წ.; გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325 - 2000 წ., რეზოლუცია 1820 - 2008 წ., რეზოლუცია 1888 - 2009 წ., რეზოლუცია 1889 - 2009 წ., ქალები მშვიდობა და უსაფრთხოება; ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი 1999 წ.; გაერთიანებული ერების ათასწლეულის დეკლარაცია MDG 2000 - 2015 წ.წ. და სხვა საერთაშორისო ვალდებულებები. ამგვარად, საქართველომ

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 29 დეკემბრის 623 ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005 – 2006 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, 2005 წლის 1 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისია.

2006 წლის 24 ივლისს პარლამენტმა მიიღო იმ ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებზე აგებული გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, რომელიც გენდერულ საკითხებზე კანონმდებლობის სრულყოფას უნდა დაედოს საფუძვლად.

ასევე, მნიშვნელოვანი ნაბიჯია, 2006 წელს მიღებული კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“ სახელმწიფომ კანონის მიღებისთანავე მხოლოდ მსხვერპლის დაცვის ნაწილის ამოქმედება იკისრა, ხოლო კანონის იმ ნაწილის ამოქმედება, რომელიც მსხვერპლისა და მოძალადის სარეაბილიტაციო თავშესაფრების შექმნას ითვალისწინებს, ფინანსური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გადადო ჯერ 2008 წლამდე და შემდეგ 2015 წლამდე.

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2007 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის ერთ-ერთ მიზანს გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, ხარვეზების აღმოფხვრა და სრულყოფა წარმოადგენს. შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს გენდერული საკითხის მნიშვნელობას, თუმცა არ არის საკმარისი გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

2008 წელს, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივით და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, შეგროვდა 32 400 ხელმოწერა, რაც მიზნად გენდერული თანასწორობის მიღწევას ისახავდა, და მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში მთელი რიგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. ეს ინიციატივა პარლამენტს ჯერ კიდევ არ განუხილავს.

2010 წელს, 26 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის კანონი, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ქალისა და კაცის უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტურ განხორციელებას.

აილო ვალდებულება, განხორციელოს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებთან.

2011 წლის, 28 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის 2011–14 წლების გენდერული თანასწორობის ეროვნული მოქმედებათა გეგმა.

2014 წელს გენდერული თანასწორობის ინიციატივით მომზადდა და პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა გენდერული თანასწორობის 2014-2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალები მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ - (1325, 1820, 1888, 1889 1960) 2012-14 წლების, განხორციელების სამოქმედო გეგმები, სადაც აღნიშნულია, რამდენად მნიშვნელოვანია ქალთა ეფექტური ინტეგრაცია ადგილებზე სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობისათვის. ქალთა ჯგუფები უნდა მონაწილეობდნენ მოლაპარაკებების ყველა დონეზე, აგრეთვე, სამომავლო გეგმების შემუშავებასა და პოსკონფლიქტურ აღდგენაში. ქალის როლი მშვიდობის დამყარება - შენარჩუნებასა და უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანია.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა რა, ვენეციის კომისიის რეკომენდაცია „ქალების პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისათვის“ და ხმათა უმრავლესობით მიიღო საქართველოს ახალი „საარჩევნო კოდექსი“ და შეიტანა ცვლილებები კანონში „პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო გაერთიანებების შესახებ“. ცვლილებები გულისხმობს იმ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების 10%-ით გაზრდას, რომელთა პარტიულ სიაშიც ქალები წარმოდგენილი იქნებიან არა ნაკლებ 20%-ისა, ანუ ყოველ 10 კანდიდატს შორის წარმოდგენილი იქნება 2 ქალი კანდიდატი. მსგავს ღონისძიებას, ნაწილობრივ, ხელი უნდა შეეწყოს გენდერული თანასწორობის მაჩვენებლის გაუმჯობესებისთვის.

2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების გენდერულ ჭრილში, მონაცემები შემდეგნაირია: წინასაარჩევნო კამპანია, რომელშიც მონაწილეობდა 2 საარჩევნო ბლოკი და 14 პოლიტიკური პარტია, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 61%-მა. ამომრჩეველთა გენდერული სეგრეგაციის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია და კვლევა არ არსებობს, ასევე, არ არსებობს ოფიციალური ინფორმაცია ქალთა და მამაკაცთა ელექტორალური ქცევის შესახებ აქტივობის კუთხით. თუ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას დავეყრდნობით, ქალი ამომრჩეველები 2012 წლის არჩევნებისთვის დაახლოებით 53,79%-ს, ხოლო მამაკაცები 46,3%-ს უნდა შეადგენდნენ¹²

კანონის ზემოთ მოცემული პუნქტი გაითვალისწინა მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა (პ/გ „ახალი მემარჯვენეები“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“).

¹² ქალთა ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ექსპერტული ანალიზის კრებული. თბილისი, 2013 წელი. თამარ ბაგრატია - საქართველოს პარლამენტის არჩევნები, 01.10.2012. გვ 7-8.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვერცერთი ზემოთხამოთვლილი პარტია ვერ შევიდა საქართველოს 2012 წლის მოწვევის პარლამენტში. ქვეყნის ახალ საკანონმდებლო ორგანოში 18 ქალია, მათგან 6 ქალი - მაჟორიტარი. სამწუხაროდ, ამ ინიციატივას არ მოჰყოლია მასშტაბური ცვლილებები და ვერც მოჰყვებოდა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს და ა/ორგანიზაციების მხრიდან არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. ასევე, შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ამ ნორმამ ვერ იმუშავა და ვერ შეუწყო ხელი ქალთა რაოდენობის გაზრდას საჭირო ნიშნულამდე. აღნიშნული მონაცემები ნათლად ასახავს ქალთა მონაწილეობის შეუსაბამობას პოლიტიკურ საქმიანობაში, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ იმაზე, თუ რა უშლის ქალების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სავარაუდოდ, ის ფაქტი, რომ ქალები პარლამენტის წევრთა 11,6% შეადგენენ, კულტურულ, საკანონმდებლო და შიდა პარტიულ ბარიერებზე მიუთითებს, რაც დაადასტურა 2014 წლის ადგილობრივმა არჩევნებმაც, მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებების გატარებისა შედეგი კვლავ შემამფოთებელია, რამაც კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა კანონში გენდერული თანასწორობის მიღწევის სავალდებულო ნორმის შემოღების აუცილებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური და გენდერული დისკრიმინაცია აკრძალულია კონსტიტუციით, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონით ქვეყნისთვის მაინც საჭირო გახდა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება და 2014 წელს, პარლამენტმა მიიღო ეს კანონი. თუმცა შემამფოთებელია, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის განხორციელების ეფექტური მექანიზმების არარსებობა და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობა. მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს განსაზღვრული ანტიდისკრიმინაციული კანონის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელსაც ექნება საკმარისი რესურსები სამუშაოს ეფექტურად განხორციელებისათვის.

ნაწილი 2

ქვემო ქართლის და სამცხე - ჯავახეთის რეგიონებში ქალთა ოთახების ფუნქციონირებისას ქალთა საჭიროებების გათვალისწინების კვლევა

გამოკითხვა ჩატარდა ორ რეგიონში ქვემო ქართლსა და სამცხე - ჯავახეთში, სულ კითხვარი შეავსო 371 ქალმა. ქვემო ქართლის რეგიონი 120 ქალი, ხოლო სამცხე - ჯავახეთის რეგიონი 251 ქალი.

გამოკითხვის მიზანი იყო: ახალი მუნიციპალური სერვისის ჩამოყალიბება და განვითარება, ქალთა საჭიროებების გათვალისწინება და ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობა.

1. "ქალთა ოთახში" არის ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი და საბავშვო კუთხე. თქვენი აზრით, კიდევ რა სერვისები უნდა იყოს, რომ მოიზიდოს და დაინტერესოს როგორც მუნიციპალურ ცენტრში, ისე სოფლად მცხოვრები ქალები?




- 1. კომპ. კურსები - 172 ადამიანი
- 2. ხელსაქმე - 121 ადამიანი
- 3. მანქან. მართვა - 164 ადამიანი
- 4. საგანმან. ტრენინგები - 234 ადამიანი

1.1 რა თემაზე ისურვებდით ტრენინგს




- 1. გენდერული თანასწორობა - 135 ადამიანი
- 2. ადამიანის უფლებები - 158 ადამიანი
- 3. სახელმწიფო მოწყობა ადგილობრივი თვითმართვლობის ორგანოები - 44 ადამიანი
- 4. მრეწ. მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში - 98 ადამიანი


2. როცა გაიგეთ რომ ასეთი ოთახი გაკეთდა თქვენს მუნიციპალიტეტში, რა მოლოდინი გაგიჩნდათ?




3. თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ "ქალთა ოთახმა" ხელი შეუწყოს ქალების გააქტიურებას სათემო და მუნიციპალურ დონეებზე?




4.რა როლი შეიძლება შეასრულოს "ქალთა ოთახმა" ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის?




4.1 რომელ თემაზე ისურვებდით ხელშეწყობას



4.2 ტრენინგი და კონსულტაციის თემები



4.3 ეკონომ. განვითარებისათვის და კარიერული წინსვლისთვის გეგმა



კვლევის შედეგები

შეგროვებული მასალის დამუშავების შედეგად პირველი რიგის პრობლემად გამოიკვეთა კითხვარის შევსების არცოდნა, რაც გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ქალებს არ აქვთ გამოცდილება და არ იცნობენ ამ ტიპის საქმიანობას, ყოველ შემთხვევაში, უმეტეს მათგანს არ ჰქონდა დამოუკიდებლად კითხვარის შევსების გამოცდილება.

პირველ კითხვაზე, ქალთა ოთახების მუშაობასა და საჭიროებებზე მათთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალთა ოთახში ბიბლიოთეკის არსებობა, უფასო ინტერნეტი და საბავშვო კუთხე მაგრამ, ასევე კარგი იქნება, თუ ქალთა ოთახის სერვისს დაემატება კომპიუტერის, ხელსაქმისა და მანქანის მართვის შემსწავლელი კურსები; გამოიკვეთა ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგების საჭიროებაც: გენდერულ თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე; სახელმწიფო მოწყობა და თვითმმართველობა. მოქალაქეთა მონაწილეობა მუნიციპალურ საქმიანობაში.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალთა ოთახი იქნება სივრცე, სადაც ხელი შეეწყობა ქალთა განვითარებას, ქალთა განტვირთვას - დასვენებას; სივრცე ბავშვების გასაჩერებლად და მათთვის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. გამოკითხულთა შორის ძალზე მცირე იყო იმ ქალთა რაოდენობა, ვისაც არანაირი მოლოდინი არ ჰქონდა ახალი მუნიციპალური სერვისისგან.

ქალების აზრით, ქალთა ოთახმა უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ყველა დონეზე, რათა ხელი შეუწყოს ქალთა გააქტიურებას. გამოკითხულთა აზრით, მნიშვნელოვანია მუშაობა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელ ქალებთან და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლად მცხოვრები ქალების პრობლემებს, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს მუშაობა მის მოგვარებაზე.

მნიშვნელოვანია, ქალთა ოთახმა ხელი შეუწყოს ქალებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი თემების წინ წამოწევას, როგორცაა მესაქონლეობა, ცხოველთა მოვლისა და დაავადების პრევენცია, მებაღეობა, დეკორატორის საქმიანობა და სხვა.

გამოკითხული ქალები მოითხოვენ იურისტის და ფსიქოლოგის დახმარებას. მათი პასუხებიდან ჩანს, რომ ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია პროფესია და სურს, რომ დაეუფლოს მას. სურთ უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების შესწავლა, შეძლონ დასაქმება, რათა ჰქონდეთ თავიანთი ანაზღაურება.

პასუხების მიხედვით, რეგიონებში გამოიკვეთა დასასვენებელი სივრცის საჭიროება - არ არსებობს ადგილი ქალებისთვის და არც ახალგაზრდებისთვის, სადაც ისინი შეძლებენ თავისუფალი დროის გატარებასა და განტვირთვას, ქალებს სურთ ფიტნეს კლუბის შექმნა. არ აქვთ ბავშვთა გასართობი ცენტრები, აღმოჩნდა, რომ საბავშვო ბაგა - ბაღებშიც ბავშვების განთავსების პრობლემა დგას.

ქალებს ასევე, აქვთ სურვილი, იყვნენ ჩართულნი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ქალთა ოთახთან. მათთვის მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციონ და იმუშაონ სოფლად მცხოვრებ ქალებთან და დევნილებთან. ხელი შეუწყონ ქალების მიერ წარმოებული ხელნაკეთი პროდუქციის პოპულარიზაციას და გასაღებას.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, ისინი, პირველ რიგში, ითხოვენ სასწავლო პროგრამებს - ტრენინგებს, თუ როგორ დაწერონ ბიზნეს პროექტები. თუმცა უმეტესობა მათგანს ჯერ არ უფიქრია, რა საქმიანობა შეიძლება, წამოიწყონ, რაში შეიძლება დააბანდონ თანხა, რათა შემდგომ მიიღონ ფულადი სარგებელი. მეორე ნაწილს, უკვე მოფიქრებული აქვს, რა საქმიანობა იქნებოდა მათთვის საინტერესო და მომგებიანი და არც არის გამორიცხული, ჩვენი პროგრამის ფარგლებში მართლაც განხორციელდეს მათი ჩანაფიქრი, რაც ქალებს შემდგომში ფულად სარგებელს მოუტანს.

რეკომენდაციები

- ქალთა ოთახების მუნიციპალური სერვისის გამრავალფეროვნება, სრულყოფა და გაძლიერება;
- ქალების დატრენინგება გარკვეული მიმართულებებით, რაც ქალებს პროფესიული არჩევანის გაკეთებაში შეუწყობს ხელს და დაეხმარება დასაქმებაში;
- ქალებს გაეწიოთ იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, ასევე გაეცნონ თავიანთ უფლებებს (*კითხვარზე მუშაობისას ოჯახში ძალადობის შეფარული ნიშნები გამოიკვეთა*).

გამოკვეთილი საგანმანათლებლო თემები

- გენდერული თანასწორობის საკითხები;
- ადამიანის უფლებები;
- სახელმწიფო მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მოქალაქეთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში;
- მცირე ბიზნესის განვითარება, ბიზნესის მართვა, მიკრო სესხები, ბიზნეს პროექტების წერა.

ძირითადი მიგნებები

ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მოსახლეობისა და მათ შორის, ქალების მონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძალიან შეზღუდულია და რომ ამის მიზეზი არსებული სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობებია.

ჩვენს მიერ შესწავლილ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა და მათ შორის, ქალები (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები ქალები), როგორც ჩანს, არ მონაწილეობენ და არ არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესის სხვადასხვა დონეზე: დაწყებული ოჯახის დონის გადაწყვეტილებებიდან, თემის დონისა და მუნიციპალური დონის გადაწყვეტილებებით დამთავრებული.

მოგვარების საშუალება: ადგილობრივი ხელისუფლების გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ქალთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის ხაზგასმა და ხელშეწყობა;

ადგილებზე მოსახლეობისათვის უკიდურესად არახელმისაწვდომი აღმოჩნდა მომსახურებისა და შესაძლებლობების განვითარების შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით ქალებისათვის. კვლევამ ასევე, აჩვენა, რომ ქალები ვერ ახერხებენ მუნიციპალიტეტში მისვლას და მუნიციპალური მომსახურების გამოყენებას, რასაც ხელს უშლის არსებული ტრადიციული ნეგატიური სტერეოტიპები, ქალის ორმაგი დატვირთვა და შეზღუდვები: საოჯახო საქმეები ყოველგვარი გადანაწილების გარეშე ქალის საქმედ არის მიჩნეული, ისინი ზრუნავენ ბავშვებზე და ოჯახის ყველა წევრზე, არ ჰყავთ ბავშვის დამტოვებელი, არ მუშაობს საბავშვო ბაღები, ხოლო იქ, სადაც მუშაობს საკმაოდ გადატვირთულია, თანაც სახელმწიფო ბაღი ზაფხულში წყვეტს მუშაობას, რაც ასევე, ქალს უქმნის პრობლემას. ქალისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება „არსებული მორალური სტანდარტები“, როგორცაა - “საზოგადოებრივი საქმიანობა და თავშეყრის ადგილები ქალის საქმე არ არის. ქალის საქმეა ოჯახის მოვლა და ოჯახის წევრებზე ზრუნვა”.

მოგვარების საშუალება: ადგილობრივი ხელისუფლების გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ქალთა ჩართულობისა და თანამონაწილეობის ხაზგასმა და ხელშეწყობა, საოჯახო საქმეების გადანაწილების პროპაგანდა; ქალთა გააქტიურების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო შედეგებითი მუშაობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოსახლეობასთან.

ამავე დროს, როგორც ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტები და მუნიციპალური მოხელეები საერთოდ არ იცნობენ და არ არიან გაცნობიერებულნი ქალთა უფლებებსა და ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების საქმეში. არ იცნობენ ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის მხარდამჭერ საერთაშორისო და ადგილობრივ ვალდებულებებს და კანონმდებლობას.

მოგვარების საშუალება: ადგილობრივი ხელისუფლების გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მათი აღჭურვა ადგილობრივი კანონმდებლობებითა და საერთაშორისო ვალდებულებებით ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით;

მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ხელისუფლება აწარმოებდეს და ფლობდეს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა გენდერული ბიუჯეტი, გენდერული სტატისტიკა და გენდერის მენისტრიმინგი. ქალთა და მამაკაცთა საჭიროებების განსხვავებაზე ცნობიერებისა და გენდერულად სენსიტიური მიდგომების ნაკლებობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოფლის წარმომადგენლების მუშაობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სოფლის მოსახლეობასთან პირდაპირ კომუნიკაციაზე, მათი პრობლემების იდენტიფიცირებასა და ადვოკატირებაზე. სამწუხაროდ, არასათანადო ყურადღება ექცევა ქალთა მონაწილეობასა და ჩართულობას სოფლის კრებებზე - შეხვედრებზე, სადაც ხალხი საუბრობს საკუთარ და სოფლის პრობლემებზე, საჭიროებებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

მოგვარების საშუალება: ადგილობრივი ხელისუფლების გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სოფლის (რწმუნებულების) დონეზე საგანმანათლებლო საქმიანობა და მათი აღჭურვა გენდერულად მგრძობიარე ინსტრუქტაჟით;

მუნიციპალიტეტებთან ჩვენი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: ისინი მზად არიან, ხელი შეუწყონ და მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტებში ახალი სერვისის - ქალთა ოთახის ჩამოყალიბების საქმეში. ასევე, მათთვის მნიშვნელოვანია ქალთა გააქტიურება და პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქალთა ოთახი წარმოადგენს ადგილს, რომლის მიზანია ქალებისათვის, სოფლად მცხოვრები ქალებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ეროვნული გენდერული პოლიტიკის მოთხოვნების გენდერული მენისტრიმინგის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ეს არის არამარტო პრაქტიკული სერვისი ბიბლიოთეკის, კომპიუტერებისა და ინტერნეტის, სადამოს კლასებისა და ბავშვთა კუთხის შექმნაში, არამედ მისი არსებობა მიუთითებს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მხარდაჭერასა და ხელშეწყობაზე.

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის თანახმად, რომელიც დაიდო კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ICCN-ისა და მუნიციპალიტეტების გამგებლებს შორის ქალთა ოთახის შექმნის თაობაზე, შეიძლება განვიხილოთ, ადგილებზე გენდერული თანასწორობისა და სათემო საკითხების საყრდენად. სერვისის გამართულ ფუნქციონირებას საკუთარ თავზე იღებს ICCN სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარებით, ქალთა ოთახებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებით, ტექნიკური აღჭურვით, ბავშვთა კუთხისა და ბიბლიოთეკის მოწყობით. ქალთა ოთახის თანამშრომელს, მენეჯერს ნიშნავს და აფინანსებს მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე უზრუნველყოფს

მუნიციპალურ სერვისს ინტერნეტით, ხელს უწყობს რაიონისა და თემის დონეზე მის პოპულარიზაციას. ICCN ეხმარება ქალთა ოთახის თანამშრომელს, მენეჯერს კვალიფიკაციის ამაღლებაში, ინფორმაციის მოძიებასა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლებთან კონტაქტების დამყარებაში. აგრეთვე, ქალთა ოთახის მომსახურების სერვისის სრულყოფაში.

ICCN ახორციელებს ქალთა ოთახის განვითარების ხელშეწყობასა და თანადაფინანსებას, რათა მისცეს საშუალება მუნიციპალიტეტს, განახორციელოს შესაძლებლობების გამავითარებელი სხვადასხვა პროექტებისა და ინიციატივების წარმოჩენა, რათა შემდგომ შესაძლებელი გახდეს გარე დაფინანსების მოზიდვა.

მუნიციპალიტეტი თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ქალთა ოთახის ფუნქციონირებას, რათა სრულფასოვანი მომსახურება გაუწიოს მუნიციპალიტეტში მოსულ ქალებსა და ბავშვებს.

ქალთა ოთახი - არის ახალი მუნიციპალური სერვისი, ღია სივრცე ქალებისათვის და არა მარტო ქალებისათვის

ქალთა ოთახების მიზანი

ქალთა ოთახების არსია სამიზნე მუნიციპალიტეტების - (ქვემო ქართლი: რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა; სამცხე - ჯავახეთი: ბორჯომი, ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა) თვითმმართველობის ორგანოებში ქალაქსა და სოფელში მცხოვრები ქალების ჩართულობის, ინფორმირებულობის, თანამონაწილეობის გაზრდისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ქალთა ოთახი - მომხმარებელს სთავაზობს პრაქტიკულ სერვისს:

- ბიბლიოთეკას, კომპიუტერთა და ინტერნეტით მომსახურებას, სადამოს კლასებსა და ბავშვთა კუთხეს;
- ინფორმაციის მიღება-გაცნობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სიახლეებზე და მიმდინარე საქმიანობებზე;
- ასევე, სპეციალური ტრენინგ პროგრამებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობას;
- მონათესავე თემებზე მომუშავე სხვადასხვა პროგრამების, ჯგუფების შეკრებების ადგილს.

ახალი მომსახურების, ქალთა ოთახის სერვისის მიზანია ქალების ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღებისა და ადგილობრივ დონეზე თემის განვითარების პროცესში, რათა მათ მიეცეთ ქალის როლის გაძლიერებისა და გააქტიურების შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია, ქალთა ოთახების მუშაობის პროცესში სოფლად მცხოვრები ქალების უშუალოდ ჩართვა.

2010 წელს, მაისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი უშუალოდ ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობას კანონის იმპლემენტაციის საქმეში. კანონი უზრუნველყოფს სათანადო პირობების შექმნას, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების დაცვის მიზნით.

ქალთა ოთახის მენეჯერის (წამყვანი სპეციალისტი მოქალაქეთა მიღებისა და მომსახურების საკითხებში) ფუნქციებია:

- უზრუნველყოს ვიზიტორთა მიღება და მათთვის განსაზღვრული მომსახურების წარმოება (კომპიუტერული მომსახურება, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, ბავშვთა კუთხე, შეხვედრები);
- არის საკონტაქტო პირი ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის სამიზნე მუნიციპალიტეტებში;
- გაუწიოს ფასილიტაცია ქალთა ოთახსა და კერძო/სამოქალაქო სექტორს შორის კონტაქტების დამყარებას;
- მოაწყოს შეხვედრები სოფლად მცხოვრები ქალებისათვის და შეარჩიოს საკონტაქტო პირი ყველა თემში – „აქტიური ქალი“;
- მოემსახუროს თვითმმართველობაში ვიზიტად მყოფ ქალებსა და ბავშვებს, მათთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდებით;
- ტრენინგების და მსგავსი ტიპის ღონისძიებების მოწყობა;
- ქალთა ოთახებში „ყავა, ჩაის დღის“ მოწყობა. შეხვედრები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ლიდერ ქალებთან, მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ქალთა ოთახები არის მუნიციპალური სერვისი, რომლის ფუნქციონირება და კოორდინაცია არის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. მას დახმარებას უწევს „ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალებისა და გოგონების პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისთვის“ პროგრამა, რომელიც ხორციელდება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს - USAID – ის მხარდაჭერით და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსთან“ პარტნიორობით.

პროგრამის მიხედვით „ქალთა ოთახები“ იფუნქციონირებს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო-ქართლის 13 მუნიციპალიტეტში. „ქალთა ოთახებს“ კურირებს მიმართულების კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს „ქალთა ოთახების“ ფუნქციონირებას, თანამშრომელთა მომზადებასა და ჩართულობას აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალთა ოთახის მენეჯერები ამზადებენ ყოველთვიურ ანგარიშს და წარუდგენენ პროგრამის კოორდინატორს და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს.

ქალთა ოთახის მენეჯერის თანამდებობის შერჩევის აღწერის დოკუმენტი

- ქალთა ოთახის მენეჯერის მოვალეობები, პასუხისმგებლობები და უფლებების აღწერა¹³.
- „რა უნდა აკეთოს ქალთა ოთახების მენეჯერმა სამუშაოზე?“
- „როგორ უნდა შევარჩიოთ ქალთა ოთახების მენეჯერი?“

ქალთა ოთახის მენეჯერის შერჩევის კრიტერიუმი: როგორ?

ქალთა ოთახების მენეჯერის დასახელების პრეროგატივა აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. ქალთა ოთახების მენეჯერების ვაკანსიისთვის მომზადებული მოკლე კითხვარისა¹⁴ და მუნიციპალიტეტის მიერ კანდიდატურის დასახელების საფუძველზე ეწყობა გასაუბრება (ქალთა ოთახისა და განათლების კოორდინატორები აწყობენ გასაუბრებას) და შერჩევის შემდეგ ხდება თანამდებობის დაკავება ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მხრიდან და ასევე, პროგრამის მხრიდან სამუშაო აღწერილობა.

ქალთა ოთახების პროგრამის საჭიროებები

პროგრამით შერჩეული მუნიციპალიტეტების ფარგლებში მცხოვრებ ქალთა ჩართულობის გაზრდის ხელშესაწყობად ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში და განსახორციელებელ პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა; ქალთა საჭიროებების გამოვლენა და მათი გათვალისწინების ხელშეწყობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში.

კითხვარი

„ქალთა ოთახის“ მენეჯერებისათვის

¹³ უხელმძღვანელოს ქალთა ოთახებს, კომპიუტერის გამოყენების უნარ-ჩვევები, ინტერნეტში მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციაზე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სიახლეებზე და მიმდინარე საქმიანობებზე ინფორმაციის მიღება-გაცნობის უნარი, კომუნიკაციის უნარი და სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოცდილება ტრენინგები და სემინარები..

¹⁴ დანართი 1

1. „ქალთა ოთახის“ მენეჯერის ვაკანსიაზე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს

მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ან მუნიციპალიტეტის მიერ დასახელებული კანდიდატი

კომპიუტერის გამოყენების უნარ ჩვევები

საგანმანათლებლო ტრენინგები:

დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, დააკონკრეტოთ რა თემაზე გაგივლიათ ტრენინგები (გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებები, სახელმწიფო მოწყობა (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები), მოქალაქეთა მონაწილეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, თუ სხვა):

სხვა გამოცდილება (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)

2. როცა გაიგეთ, რომ ასეთი ვაკანსია ცხადდებოდა თქვენს მუნიციპალიტეტში, რა მოლოდინი გაგიჩნდათ?

ადგილი ქალთა განვითარების ხელშესაწყობად

დასვენების სივრცე ქალებისათვის

ბავშვების გასაჩერებელი ადგილი

საგანმანათლებლო ოთახი

ადგილი, სადაც დავებმარებით მოქალაქეებს

არანაირი მოლოდინი არ გამჩენია

სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)

3. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ „ქალთა ოთახმა“ ხელი შეუწყოს ქალების გააქტიურებას სათემო და მუნიციპალურ დონეებზე?

მუშაობა მუნიციპალიტეტის ყველა დონეზე

მუშაობა ქალებთან

სოფლად მცხოვრები ქალების პრობლემების წინ წამოწევა

პრობლემების მოგვარების პროცესში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტთან შუამდგომლობა და კოორდინაცია

სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ)

4. რა როლი შეიძლება, შეასრულოს “ქალთა ოთახმა” ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით?

პროფესიული ტრენინგები

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოთ რა თემაზე ისურვებდით (მესაქონლეობა, მებაღეობა, საქონლის დაავადებების პრევენცია, ხელსაქმე და სხვა):

მეორე კომპონენტი

გოგონების განათლებისა და პროფესიული არჩევანის საკითხზე არსებული სიტუაცია და მონაცემები საქართველოში

სამაგიდო კვლევა

შესავალი

პროგრამის არსისა და შინაარსიდან გამომდინარე, სამაგიდო კვლევის მიზანია სიტუაციის აღწერა საქართველოში სასკოლო ასაკის გოგონების (აქცენტით უფროსკალსელებზე) განათლების მიღებისა და გავითარებისთვის საჭირო პირობების არსებობის, ასევე მათი მომავალი პროფესიული არჩევანის შესაძლებლობის ან შეზღუდულობის კუთხით.

გოგონები, განსაკუთრებით უფროსი სასკოლო ასაკის კატეგორიაში შემავლები, ძალზე საინტერესო და რთული ჯგუფია, რადგან მათთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი სულ მცირე ორი ჭრილიდან შეიძლება, განვიხილოთ: როგორც ქალები და როგორც ბავშვები. ცნობილია, რომ ორივე კატეგორია ყველაზე უფრო დაუცველია, როდესაც საქმე ეხება საომარ მოქმედებებს, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისებს და რასაკვირველია, საზოგადოებრივ აზრსა და სტერეოტიპებს. შესაბამისად, უფროსი სასკოლო ასაკის გოგონები ძალზე რთული ჯგუფია, რომლის პრობლემები მომდინარეობს როგორც მათი გენდერული უფლებების, ასევე, მათი, როგორც ბავშვების უფლებების დარღვევით.

გარდა ამისა, პრობლემები და ბარიერები რამდენიმე სხვადასხვა დონეზე იჩენს თავს. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სამაგიდო კვლევის ძირითად აქცენტს ორი დონე - საკანონმდებლო ბაზა და საზოგადოებრივი აღქმები (შესაბამისად პრაქტიკებიც) წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ პროგრამის სამიზნე ორი რეგიონი - სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებული მხარეებია და ამიტომ, კვლევაში ასევე დაეთმოთა ყურადღება იმ პრობლემებსა და ბარიერებს, რომლებიც ინტეგრაციის ნაკლებობითაა გამოწვეული.

საკანონმდებლო ბაზა

უფროსი ასაკის გოგონების, როგორც კონკრეტული ჯგუფის, უფლებების დაცვას ან მათი პრობლემების განხილვას, არ უზრუნველყოფს რომელიმე ერთი კონკრეტული საკანონმდებლო აქტი. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი უფლებები ქალებისა და ბავშვების შესახებ კანონმდებლობასა და კვლევებშია გაფანტული. თეორიულად და იდეალურ სიტუაციაში მხოლოდ ორი აქტი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციები ბავშვის უფლებების დაცვისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, იქნებოდა საკმარისი ქალთა და ბავშვთა უფლებების დასაცავად და შესაბამისად, ბარიერების გადასალახავად;

რადგან, საქართველო ორივე კონვენციის ხელმომწერია და ამ საკითხებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზების შემთხვევაშიც კი, შესაბამისად განხორციელებული საერთაშორისო კონვენციები შეძლებდნენ სიტუაციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. თუმცა, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. გარდა საერთაშორისო ვალდებულებებისა, საქართველოს კანონმდებლობაც უზრუნველყოფს ქალებისა და ბავშვების დაცვის მექანიზმებს. გარდა საქართველოს კონსტიტუციის 14-ე მუხლისა, რომელიც კანონის წინაშე ათანაბრებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, 16-ე მუხლი მათ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ანიჭებს, ხოლო 35-ე მუხლის მიხედვით ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თანაბარ მდგომარეობაში აყენებს გოგონებსაც და ვაჟებს. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ კრძალავს დისკრიმინაციას, რომელიც შემდეგნაირადაა განმარტებული: სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რაც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან სრული უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის ფორმით¹⁵. ხოლო, ამავე კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, სახელწიფო ვალდებულია, შექმნას თანაბარი პირობები ქალისა და მამაკაცის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების მიღებისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განხორციელებაში თანაბარი მონაწილეობისთვის.¹⁶

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემების წარმოება ჯერ კიდევ მოიკოჭლებს საქართველოში. იგივე მდგომარეობაშია ქალთა საკითხებისადმი დაკავშირებული სტატისტიკაც. მიუხედავად იმისა, რომ კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ითვალისწინებს ანგარიშებისა და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას, ასევე გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშებში სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები (მაჩვენებლები და შესაბამისი ინდიკატორები) გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს მოთხოვნათა რეალიზაციის, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებისა და აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ეფექტური მონიტორინგის მიზნით¹⁷, სტატისტიკური მონაცემები ამ მხრივ მაინც მწირია. მართალია, სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე ცალკეა გამოყოფილი გენდერული სტატისტიკა, თუმცა, წარმოდგენილი მონაცემები არ იძლევა სხვა ცვლადებთან შეპირისპირების საშუალებას, ხოლო დარგობრივ სტატისტიკაში (მაგ. განათლების შესახებ) უმეტეს შემთხვევაში ქალები ცალკე არ ჩანან.

¹⁵ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი მესამე 'კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

¹⁶ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი მეცხრე, ა პუნქტი

¹⁷ საქართველოს გენდერული თანასწორობის კანონი, მუხლი ხუთი

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა 'საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის' განხორციელების შეფასება. პირველი ასეთი გეგმა საქართველოს პარლამენტმა 2011 წელს მიიღო და 2013 წელს დასრულდა. თუმცა, საბჭოს ის ჯერ კიდევ არ შეუფასებია. გეგმა რვა მიმართულებისგან შედგება: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა, განათლება და ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა, ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, ქალი და პოლიტიკა, გარემოს დაცვის სფერო და სამართალდამცავი სფერო. ექსპერტთა შეფასებით გეგმას, რომ არაფერი ვთქვათ მის განხორციელებაზე, სერიოზული ხარვეზები აქვს. ერთ-ერთი მათგანია ინდიკატორების არარსებობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა სამოქმედო გეგმით დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების ეფექტიანობის გაზომვა. გარდა ამისა, გეგმაში საუბარი არ არის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორცაა გოგონების ნაადრევი ქორწინება და ნაადრევი ფეხმძიმობა, რომლებთან მიმართებაშიც არ შემუშავებულა სახელმწიფო პოლიტიკა. ამ საკითხებთანაა მიბმული უმაღლეს განათლებაზე ქალების ხელმიუწვდომლობა, რაც მათი კარიერული წინსვლის შემაფერხებელია. განათლების ტექნიკური სპეციალობების ქალებისთვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა: 'ვგეგმავთ, რომ ისეთი მიმართულებები, როგორც არის ტექნიკური მიმართულებები, საინჟინრო მიმართულებები, რომელიც პრიორიტეტულია უმაღლესი განათლების ნაწილში ჩვენთვის, შევადგინოთ გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება ქალბატონების თანამონაწილეობა და მოხვედრა ასეთ მიმართულებებზე უმაღლესეში'.¹⁸

2000 წელს ათასწლეულის დეკლარაციაზე ხელის მოწერით საქართველომ აიღო ვალდებულება, განესაზღვრა და განეხორციელებინა ათასწლეულის განვითარების რვა მიზანი საქართველოს კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. რვა მიზნიდან რიგით მესამეა გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები, რომლებიც შემდეგ ამოცანას ისახავს მიზნად:

- 2005 წლისთვის დაწყებით და საშუალო განათლების სისტემაში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა, 2015 წლისთვის კი განათლების სისტემის ყველა დონეზე
- გოგონებისა და ბიჭების თანასწორობა დაწყებით, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში
- ქალთა დასაქმების წილის გაზრდა სოფლის მეურნეობის სექტორში
- ეროვნულ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა

¹⁸ 'ნეტგაზეტი', 2014 წლის 3 მარტი. ხელმისაწვდომია: <http://www.netgazeti.ge/GE/105/Life/28780/>

მიზნების შესრულების შესახებ ბოლო ვრცელი ანგარიში 2006 წელს გაკეთდა. თუმცა, 2014 წელს გამოიცა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ განხორციელებული შრომითი ბაზრის მოთხოვნისა და საქართველოში ე.წ. STEM საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ბარიერების კვლევა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სამაგიდო ანალიზის თემას და რომელიც ქვემოთაა განხილული.

გოგონები განათლების სისტემაში

ერთი შეხედვით, გოგონების თანაფარდობა ვაჟებთან საქართველოს ზოგად, პროფესიულ და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში საგანგაშო არ არის. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2012-2013 წლებში საბაზო სკოლა საქართველოში 24 222 გოგონამ და 27 291 ვაჟმა დაასრულეს, ხოლო იმავე წლებში 21 248 გოგონამ და 21 195 ვაჟმა დაამთავრეს საჯარო სკოლა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მეტმა გოგონამ მიიღო საშუალო განათლება. იმავე წლებში მთლიანად საქართველოში 14 483 გოგონა და 11 567 ვაჟი ჩაირიცხა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში¹⁹, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ფარდობა გოგონების სასარგებლოდ იხრება. თუმცა, ეს მაჩვენებელი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შრომის ბაზარზე ქალი და მამაკაცი ერთნაირად არიან წარმოდგენილი ან თანაბარ პირობებში უწევთ კონკურენცია. იმავე წყაროს მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი ქალი იღებს ქვეყანაში უმაღლეს განათლებას, კაცები მაინც უფრო ეკონომიკურად აქტიურები არიან: 2012 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ასე გამოიყურება: ქალები - 57%, მამაკაცები - 78%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალთა ეკონომიკური აქტივობა და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალიან დაბალია. 'გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის' მონაცემებით, საქართველო 136 ქვეყანას შორის 64-ე ადგილს იკავებს. ამავე მონაცემებით ჩანს, რომ საქართველო წინა წლებთან შედარებით პროგრესს არ განიცდის.²⁰

ამასთან, იკვეთება საინტერესო პატერნი, რაც ნაწილობრივ ხსნის მამაკაცებთან შედარებით ქალების დასაქმების შედარებით დაბალ მაჩვენებელს და განპირობებულია მოსახლეობაში, მათ შორის, დამსაქმებლებში ფართოდ გამჯდარი სტერეოტიპებით "გენდერულად შესაბამის" პროფესიებთან დაკავშირებით (რომელიც უფრო დეტალურად შემდეგ ნაწილშია განხილული). კერძოდ, არსებობს პროფესიები, რომლებიც უფრო 'მიზანშეწონილად' მიიჩნევა მამაკაცებისთვის, ვიდრე ქალებისთვის. შესაბამისად, არსებობს უფრო 'ქალური' დისციპლინებიც. მაგალითად, 2013 წელს სტუდენტების რაოდენობა საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ქალებისა და მამაკაცების განაწილება პროგრამების მიხედვით ასე გამოიყურება:²¹

ქალი კაცი

¹⁹ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. ქალი და კაცი საქართველოში. 2013 წელი. ხელმისაწვდომია: http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/health/qali%20da%20kaci-2013.pdf

²⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013 წელი. გვ. 493 www.ombudsman.ge

²¹ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2013 წელი

| | | |
|------------------------------|------|------|
| აგრარული მეცნიერებანი | 896 | 1195 |
| ინჟინერია | 1106 | 6222 |
| მეცნიერება/ზუნებისმეტყველება | 195 | 105 |
| სამართალი | 213 | 443 |
| სოც. მეცნიერებები | 94 | 70 |
| ხელოვნება | 1098 | 264 |
| ჯანდაცვა | 2334 | 402 |

ეს მონაცემები თვალნათლივ ადასტურებს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპებს იმასთან დაკავშირებით, რომ მამაკაცები უფრო ძლიერები არიან ე.წ. ტექნიკურ საგნებსა და დისციპლინებში ანუ ე. წ. STEM²² დარგებში, ვიდრე ქალები, რომელთა საქმეა ძირითადად ხელოვნება, ჯანდაცვა და სოციალური მეცნიერებები, ძალზე საინტერესოა ის, რომ ამ სტერეოტიპს სრულიად აქარწყლებს 2011 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც, გოგონებმა ბიჭებზე მართალია ზღვრული, მაგრამ მაინც უკეთესი მაჩვენებელი აჩვენეს მათემატიკასა და ყველა საბუნებისმეტყველო საგანში ფიზიკის გარდა, სადაც ბიჭებმა 2 ქულით გაუსწრეს თანატოლ გოგონებს²³. ამ ტენდენციაზე მიუთითებს ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკაც, რომლის მიხედვით, გოგონებმა ბიჭებზე ოდნავ უკეთესი შედეგები აჩვენეს ყველა საბუნებისმეტყველო საგანში მათემატიკის გარდა, რომელშიც მათ მნიშვნელოვნად გადაუსწრეს ბიჭებს.²⁴

თუ გავითვალისწინებთ, რომ გოგონები, სულ მცირე, თანაბრად ძლიერები არიან საბუნებისმეტყველო საგნებში, როგორც ბიჭები, იბადება კითხვა, თუ რატომ ირჩევენ ისინი საბუნებისმეტყველო დისციპლინებს უფრო ნაკლებად, ვიდრე ბიჭები, და შესაბამისად, რატომ არიან ისინი ნაკლებად კონკურენტუნარიანები ამ დარგებში შრომის ბაზარზე?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია ის სტერეოტიპები და აღქმები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ არჩევანს და ქმნიან ბარიერს გოგონების განვითარებისათვის მათი პოტენციისა და მისწრაფებების გათვალისწინების გარეშე.

აღქმები და სტერეოტიპები

2014 წელს გამოქვეყნდა ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში, რომლის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საბუნებისმეტყველო დარგების საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ბარიერების კვლევა.²⁵

²² STEM - მეცნიერება, ტექნოლოგია, საინჟინრო დარგები და მათემატიკა

²³ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2013 წელი. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა. ხელმისაწვდომია: http://www.naec.ge/images/doc/SXVA/timss%202011-%20science_.pdf

²⁴ Studies of Labor Demand, Barriers to Participate in STEM Education Programs and Occupations in Georgia. Millennium Challenges Account – Georgia. Authors: Peter Gay, Nino Javakhishvili and Giorgi Shubitidze.

²⁵ იქვე

კვლევის თანახმად, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ოჯახის გავლენა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ მიერ კარიერის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. თვისებრივი კვლევის შედეგად კი გამოვლინდა, რომ განათლების სისტემაში ჯერ კიდევ მძლავრია გენდერული სტერეოტიპები. მაგალითად, მასწავლებლების მხრიდან უფრო ხშირია ბიჭების წახალისება ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას, ვიდრე გოგონების შემთხვევაში. სახელმძღვანელოებიც კი ამ საგნებში, უფრო ხშირად ვაჟების სურათებს იყენებენ ილუსტრაციებად, ვიდრე გოგონებისას.²⁶ საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევისას: გამოკითხული დამსაქმებლების 92%-მა განაცხადა, რომ ისინი ვერ ხედავენ ქალების წარმომადგენლობის გაზრდის საჭიროებას საკუთარ კომპანიაში/საწარმოში. 26.7%-მა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღიარებენ გენდერულ უთანასწორობას დასაქმების ადგილებზე, 91% მაინც თვლის, რომ ქალები არ ხვდებიან ბარიერებს, თუ მათი არჩევანი ტექნიკური დარგია.²⁷

სტერეოტიპებისა და აღქმის გავლენას გოგონების განვითარების პერსპექტივებსა და კარიერის არჩევანზე ადასტურებს კიდევ ერთი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკასა და ბიზნესში საზოგადოებრივი აღქმის კვლევას გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებით.²⁸ კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 61% თვლის, რომ ქალები უფრო მეტად ოჯახის მოვლითა და ბავშვების აღზრდით უნდა იყვნენ დაკავებული, ვიდრე პროფესიული კარიერით. ამ მოსაზრებას უფრო მეტი მამაკაცი იზიარებს (72%), ვიდრე ქალი (52%) და არ შეინიშნება მნიშვნელოვანი განსხვავება სოფლად და ქალაქად მცხოვრებ რესპონდენტებს შორის.²⁹

გარდა ამისა, რესპონდენტების აზრით, ქალი შედარებით მსუბუქი საქმით უნდა დაკავდეს - მათ შეიძლება ჰქონდეთ სამსახური, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ქმრისა და ბავშვების მოვლაში, რადგან სწორედ ესაა მათი უმთავრესი მოვალეობა. შესაბამისად, საზოგადოება ქალს ურჩევს ისეთ პროფესიებს, რომლებიც "შეეფერება" ქალს - ექიმი, ექთანი, მასწავლებელი და ა.შ. ასევე გავრცელებული და პოპულარული შეხედულების მიხედვით, ქალს სიამოვნებს საოჯახო საქმიანობა, რომლის შესრულებისას ის უფრო ბედნიერია, ვიდრე სამსახურში წარმატების მიღწევის შემთხვევაში იქნებოდა. როგორც ქალები (87%), ასევე მამაკაცები (88%) თვლიან, რომ შეიძლება სამსახური კარგი იყოს ქალისთვის, მაგრამ ყველა ქალს უნდა ოჯახი და ბავშვები.³⁰ შესაბამისად, ქალისთვის 'სასურველი' პროფესიების ჩამონათვალი კვლევის რესპონდენტების მიხედვით, ასე გამოიყურება:

- მასწავლებელი (სკოლის ან რეპეტიტორი)
- ფარმაცევტი
- ექიმი
- ჟურნალისტი

²⁶ ნ. ბერეკაშვილი, „განათლების სფერო და გენდერული თანასწორობა“, ანალიტიკური სტატია, NIMD პუბლიკაცია, 2013

²⁷ Studies of Labor Demand, Barriers to Participate in STEM Education Programs and Occupations in Georgia. Millennium Challenges Account – Georgia. Authors: Peter Gay, Nino Javakhishvili and Giorgi Shubitidze. გვ. 12

²⁸ Public Perception on Gender Equality in politics and business, Tbilisi 2013. Enhancing Gender Equality in Georgia. UN Women, UNDP and UNFPA.

²⁹ იქვე, გვ.19

³⁰ იქვე, გვ. 34

- ბანკის ოპერატორი
- მცირე ბიზნესი/მეწარმეობა
- არასამთავრობო სექტორის ორგანიზაციები
- მომსახურების სფერო

კვლევის მიხედვით გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საკმაოდ საგანგაშო ტენდენცია: ყველაზე მძლავრი არგუმენტი, რომლითაც გამოკითხულები იყენებენ იმის დადასტურებლად, რომ ოჯახი ქალის საქმეა, ხოლო კარიერაზე კაცმა უნდა იზრუნოს, არის ის, რომ კაცებს უფრო დიდი პოტენციალი აქვთ კარიერული წარმატების მისაღწევად - მათ გააჩნიათ უფრო მეტი უნარ-ჩვევა, ვიდრე ქალებს, ამიტომაც, ქალებმა უნდა მიხედონ ოჯახს, ხოლო კაცებმა - იმუშაონ.³¹

გამოწვევები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში

რადგან პროგრამის ძირითად სამიზნე არეალს საქართველოს სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ გარემოებებს, რაც კიდევ უფრო ართულებს გოგონების განვითარებას და ამტკიცებს იმ ბარიერებს, რაც მთელ ქვეყანას ახასიათებს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ორი ძალზე მწვავე პრობლემა, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავეით თავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ვლინდება.

ადრეული ქორწინება

ადრეული ქორწინება იშვიათი მოვლენა არ არის საქართველოსთვის და სხვა ფაქტორებთან ერთად, გენდერულ უთანასწორობას უკავშირდება. გარდა ამისა, ადრეული ქორწინების შემთხვევების გავრცელების გამომწვევი ფაქტორები არაერთგვაროვანია და ხშირად ასახავს რელიგიურ, ეთნიკურ და რეგიონალურ განსხვავებებს. სიტუაციას ისიც ამძაფრებს, რომ ბავშვი-ცოლები ხშირად ხდებიან ოჯახური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, ხოლო ფეხმძიმობის დროს ხშირია ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებები.³²

როგორც ირკვევა, ადრეული ქორწინება ხშირია კონკრეტულ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში. საქართველოს შემთხვევაში ამგვარი შემთხვევების გავრცელების არეებია აჭარის მაღალმთიანეთი და ქვემო ქართლის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ადგილები. მაგალითად, ქვემო ქართლის რეგიონის ეთნიკური უმცირესობის კვლევამ გამოავლინა, რომ ქორწინებაში მყოფი ქალების 32 % თვრამეტი წლის ასაკამდე გათხოვდა, 5% 13-14 წლის ასაკში, ხოლო 16% - 15-16 წლისა. აღსანიშნავია, ამ მხარეებში ხშირია მოტაცების ან მშობლების თანხმობის შედეგად ადრეული ქორწინებები. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები, რომელთა შვილები არ იღებენ ზოგად განათლებას, ექვემდებარებიან ჯარიმას საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, დაჯარიმების შემთხვევები

³¹ იქვე, გვ.39

³² Child Marriage in Georgia, UNFPA

უკიდურესად მცირეა. სამართალდამცავები იშვიათად ერევიან ამგვარ საქმეებში, რადგან 'ოჯახის შიდა ამბებში ჩარევა' სოციალურად მიღებული არ არის.³³

ადრეულ ქორწინებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშშიც, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში კვლავაც მაღალია ადრეული ქორწინების მაჩვენებელი გოგონებში. მიუხედავად არსებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციისა, ხშირია სკოლის მიტოვების ფაქტები ადრეული ქორწინების მიზნით. სახალხო დამცველის ანგარიშშიც ადასტურებს, რომ ამგვარი შემთხვევები მაღალია 'რეგიონებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში'.³⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე 7 367 გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება, რისი მიზეზიც უმრავლეს შემთხვევებში, ადრეული ქორწინებაა. ეს შედეგი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონში.³⁵ როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია აღნიშნული, ადრეული ქორწინება განათლების მიღების შეწყვეტის ხარჯზე, მთელ რიგ პრობლემებს უქმნის გოგონებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში მოკლებულები არიან განვითარების, დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას.

განათლებისა და ინტეგრაციის ბარიერები

გარდა ქვეყანაში ზოგადად არსებული პრობლემებისა, რომლებიც გოგონათა განვითარებას, განათლებასა და დასაქმების ბარიერებს ეხება, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებობს განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებული სერიოზული გამოწვევები. ეთნოსთაშორისი თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრის ინფორმაციით, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ცალკეული ღონისძიებებისა, ეთნიკური უმცირესობების ნაწილი კვლავაც ვერ გრძნობს თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ, გარდა იმ ნაწილისა, რომლებიც დედაქალაქში ცხოვრობენ და ახერხებენ საკუთარი თავის რეალიზებას. ეს გაუცხოება დიდწილად განპირობებულია სახელმწიფო ენის არ ცოდნითა და ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობით.³⁶ რეგიონებში მცხოვრებ სახელმწიფო ენის არმცოდნე ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას, და ცხადია, მათ შორის, გოგონებიც მოიაზრებიან, ნაკლებად მიუწვდება ხელი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეეცადა ზომების მიღებას ამ პრობლემასთან დაკავშირებით. 2012 წლიდან ამოქმედებული პროგრამის ფარგლებში საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას სპეციალური კვოტებით სარგებლობენ - მათ უფლება აქვთ მხოლოდ

³³ იქვე.

³⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2013 წელი. გვ. 469 www.ombudsman.ge

³⁵ იქვე, გვ. 503

³⁶ Analytical Center for Interethnic Cooperation and Consultation on Radio Liberty. 21 December 2012. Available at: <http://www.radiotivsupleba.ge/content/etnikuri-umciresobei/24805179.html>

ზოგადი უნარების გამოცდა ჩააბარონ მშობლიურ ენაზე და მოსამზადებელ ფაკულტეტზე ჩააბარონ (შესაბამისი ცვლილება შევიდა საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ). ერთი წლის განმავლობაში ეს სტუდენტები გადიან ქართული ენის ინტენსიურ კურსს და შემდეგ უკვე შეუძლიათ უმაღლესი განათლების მისაღებად გააგრძელონ სწავლა. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს ამ პროგრამით 300 სტუდენტმა ისარგებლა³⁷, ხოლო 2012 წელს უკვე 590-მა³⁸ (მათ შორის, 200 სომეხია, ხოლო 390 - აზერბაიჯანელი), ეს მაჩვენებელი მაინც მცირეა და ჩამორჩება სხვა რეგიონების მაჩვენებლებს. გარდა ამისა, არ არსებობს სტატისტიკა, თუ რომელ რეგიონებს წარმოადგენენ აღნიშნული სტუდენტები და რამდენია მათ შორის გოგონა.

თუმცა, უმაღლეს განათლებამდე მწვავედ დგას ზოგადი განათლების პრობლემა, რადგან რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უმეტესობა საკომუნიკაციო დონეზეც კი ვერ ფლობს ქართულს, რომ არაფერი ვთქვათ ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლასა და პროფესიის დაუფლებაზე. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ ამზადებენ სომხურ ან აზერბაიჯანულენოვან მასწავლებლებს. ასევე პრობლემატურია სასკოლო სახელმძღვანელოები და ზოგადი განათლების პროგრამების შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო პროგრამასთან. აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში სხვა პროგრამებს გადიან, ხოლო ქართულენოვანში - სხვას, რაც პრობლემას უქმნის ინტეგრაციას. გამოდის, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს, და მათ შორის, განსაკუთრებით გოგონებს (თუ გავითვალისწინებთ ზემოთმოყვანილ ბარიერებს), საშუალება არ აქვთ შეისწავლონ სახელმწიფო ენა, რაც აუცილებელია მათი განათლების, შესაძლებლობების ზრდისა და ასევე საქართველოს საერთო საგანმანათლებლო, შრომით და კულტურულ სივრცეში ინტეგრაციისთვის. რეგიონებში მოქმედი ე.წ. ენის სახლები ნაკლებად პასუხობენ მოთხოვნებს და არ ითვლებიან ეფექტიან ინსტრუმენტად.³⁹

დასკვნა

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მიუხედავად საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების აღიარებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ რიგი საკანონმდებლო ინიციატივებისა, ჯერ კიდევ დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა რათა გოგონებსა და ქალებს განვითარების, განათლებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობა შეექმნათ. განსაკუთრებით საყურადღებოა ხარვეზები კანონებისა და რეგულაციების განხორციელებაში, და ის გამოწვევები, რომლებსაც ქმნის მოსახლეობაში ღრმად გამჯდარი სტერეოტიპები და აღქმები, რომლებიც გოგონებს ოჯახებიდანვე უწყებს ბარიერებსა და დაბრკოლებებს განვითარებისა და განათლების პროცესში. გარდა ამისა, სათანადო ყურადღება არ ექცევა რეგიონებში არსებულ მდგომარეობას განათლებისა და

³⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <http://www.mes.gov.ge/content.php?id=3786&lang=geo>

³⁸ Minority Integration in Georgia: Main Challenges and Opportunities (Case of Javakheti)

³⁹ Eastern Partnership Civil Society Forum – Georgian National Platform, Policy Paper – Working Group 4: Contacts between People. Available at: http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/PP_short%20version_WG4_Ethnic%20Minorities_ENG.pdf

ინტეგრაციის გაუმჯობესების, ასევე, ადრეული ქორწინების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ანალიზმა უჩვენა, რომ უფროსი სასკოლო ასაკის გოგონები განსაკუთრებით მგრძობიარე და რთული ჯგუფია, მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, ჩვენი პროგრამისთვის საკვანძო უფლებების: საკუთარი მომავლის თავისუფალი განსაზღვრის, ინდივიდუალური განვითარებისა და პროფესიული წინსვლის პერსპექტივის თვალსაზრისით. ასევე, ზოგადად აღსანიშნია, რომ საქართველოში არ მოიპოვება გოგონების პრობლემებზე მიმართული კომპლექსური კვლევა და ანალიზი, რომლის საჭიროებაც ნათლად გამოაჩინა ზემოთგანხილული მასალის პირველადმა ანალიზმაც.

გოგონების განათლებისა და განვითარებისთვის, სტერეოტიპებისაგან თავისუფალი პროფესიული არჩევანის საკითხზე არსებული განწყობების კვლევა ფოკუს ჯგუფის მეთოდით

ანგარიში

ანგარიშში მოცემულია პროგრამის ”ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალებისა და გოგონების პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისთვის” მთლიანი საბაზისო კვლევის შედეგების ერთი ნაწილი და წარმოადგენს პროგრამის სამიზნე რეგიონებში- ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გოგონების განვითარების, განათლებისა და პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებული განწყობების, მდგომარეობის სუბიექტური შეფასებების, ბარიერებისა და პერსპექტივების შესახებ ფოკუს ჯგუფის მეთოდით მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

შესავალი და ძირითადი თემები

ფოკუს ჯგუფებში გამართული დისკუსიები ემსახურებოდა სამიზნე აუდიტორიაში გოგონების განვითარების, განათლებისა და პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებული განწყობებისა და მდგომარეობის სუბიექტური შეფასებების გამოვლენას. მონაცემები მიღებულია ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისგან სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის საზოგადოების წარმომადგენლებისგან სიტყვიერ ინფორმაციას ჯგუფური დისკუსიის საშუალებით.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა როგორც საბაზისო კვლევის ნაწილი და დაიკავა პერიოდი 17 ივნისიდან 25 აგვისტომდე.

ფოკუს ჯგუფების შედგენისას გათვალისწინებული იყო შემდეგი პრინციპი: წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ორივე სამიზნე რეგიონი, ეთნიკური მრავალფეროვნება, ქალაქი- სოფლის მოსახლეობა. ჯგუფების კომპოზიცია შეესაბამებოდა პროგრამის განათლების კომპონენტის სამიზნე ჯგუფებსა და წარმოადგენდა უფროსკლასელი გოგონების, პედაგოგებისა და მშობლების ჯგუფებს.

თითოეული მიზნობრივი ჯგუფისთვის შემუშავდა განსხვავებული კითხვარი. აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების მონაწილეებისთვის (მარნეულისა და ნინოწმინდას ჯგუფები) კითხვარები ითარგმნა და დისკუსია ჩატარდა ნაციონალურ და რუსულ ენებზე. სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში 6 ფოკუს ჯგუფის ფასილიტატორები იყვნენ გენდერულ საკითხებში ექსპერტები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან: გულიკო ბექაური და ლეილა სულეიმანოვა, რომლებმაც გაიარეს წინასწარი ინსტრუქტაჟი.

დისკუსიის შეკითხვები შედგენილი იყო იმგვარად, რომ მიგველო ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო შედეგი თემების გარშემო:

„გოგონები“- ფოკუს ჯგუფის თემები

- იყოფა თუ არა მათთვის საგნები, პროფესიები, საქმიანობები, „ქალურ და კაცურად“? რატომ, რა შედეგებს იწვევს ეს მათ და სხვა გოგონების ცხოვრებაში?
- რა განსაზღვრავს მათ ცხოვრებისეულ არჩევანს, რა ფარგლები არსებობს, რა როლს თამაშობს ოჯახი, ტრადიცია, გენდერული ნორმები, უფლებები, ეკონომიკური მდგომარეობა, დაშვებები, შიშები?
- ხდება თუ არა მათ გარემოცვაში ადრეული ქორწინება, რამდენად ხშირად, რა არის მიზეზები და შედეგები, როგორია მათი დამოკიდებულება?

„მასწავლებლები“ - თემები

- არსებობს თუ არა თანაბარი შესაძლებლობები და პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის?
- იყოფა თუ არა მათთვის საგნები „ქალურ და კაცურ“ საგნებად? პროფესიებად, საქმიანობებად, რატომ, რა შედეგებს იწვევს გოგონების ცხოვრებაში ეს დიფერენციაცია?
- რამდენი გოგონა და ბიჭი სწავლობს, როგორ სწავლობენ და როგორია მათი გზა სკოლის შემდგომ?
- როგორია სკოლისა და კლასგარეშე შესაძლებლობები და ნება გოგონების გაძლიერებისა და გაფართოებული არჩევანის განსახორციელებლად?

„მშობლები“ - თემები

- არსებობს თუ არა თანაბარი შესაძლებლობები და პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის?
- იყოფა თუ არა მათთვის საგნები „ქალურ და კაცურ“ საგნებად? პროფესიებად, საქმიანობებად, რატომ, რა შედეგებს იწვევს გოგონების ცხოვრებაში ეს დიფერენციაცია?
- ხდება თუ არა მათ გარშემო ადრეული ქორწინება, რამდენად ხშირად, რა არის მიზეზები და შედეგები, როგორია მათი დამოკიდებულება?

- საჭიროა თუ არა ცვლილებები გოგონებისთვის და არსებობს თუ არა ამის შესაძლებლობა?

მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ორივე სამიზნე რეგიონის 5 მუნიციპალიტეტში, კერძოდ : რუსთავში, დმანისში, მარნეულში, ნინოწმინდაში, ახალციხეში. წარმოდგენილი იყო სამი ეთნიკური ჯგუფი: ქართველები, სომხები და აზერბაიჯანლები. ჯგუფებში მონაწილეობდა როგორც ქალაქების, ასევე დაბებისა და სოფლების მოსახლეობაც. ჯგუფების კომპოზიცია შეესაბამებოდა პროგრამის განათლების კომპონენტის სამიზნე ჯგუფებს და წარმოადგენდა უფროსკლასელი გოგონების, პედაგოგებისა და მშობლების ჯგუფებს.

საერთო ჯამში ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 95 მონაწილემ. ჯგუფების ზომა მერყეობდა 5– დან 11 ადამიანამდე. ჯგუფის მონაწილეები იყვნენ :

უფროსკლასელი გოგონები

1. სამცხე-ჯავახეთის ქართული სკოლებიდან (ჩატარდა ახალციხეში)11 მონაწილე;
 2. სამცხე-ჯავახეთის სომხური სკოლებიდან 8 (ჩატარდა ნინოწმინდაში);
 3. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული სკოლებიდან 7 (ჩატარდა მარნეულში);
 4. ქვემო ქართლის ქართული სკოლებიდან 9 (ჩატარდა რუსთავში);
 5. დმანისში 6 მონაწილე;
- სულ 41 მონაწილე.

სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაცია

1. სამცხე-ჯავახეთის ქართული სკოლებიდან (ჩატარდა ახალციხეში) 7 მონაწილე;
 2. სამცხე-ჯავახეთის სომხური სკოლებიდან 4 (ჩატარდა ნინოწმინდაში);
 3. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული სკოლებიდან 7 (ჩატარდა მარნეულში);
 4. წალკა და გოგამენი 12 მონაწილე ;
- სულ 30 მონაწილე.

მშობლები

1. სამცხე– ჯავახეთი: ქართველი და სომეხი ეროვნების მოსახლეობა ქალაქ ახალციხიდან და მიმდებარე სოფლებიდან, 9 მონაწილე;
2. ქვემო ქართლი: აზერბაიჯანული მოსახლეობა მარნეულის და მიმდებარე სოფლის მაცხოვრებლები; 7 მონაწილე;
3. ქართული მოსახლეობა, დაბა დმანისი, 8 მონაწილე. საერთო ჯამში 24 მონაწილე.

ასაკობრივი კატეგორიზაცია

უფროსკლასელი გოგონების ასაკი მერყეობდა 14–დან 18 წლამდე. მშობელთა კატეგორია განისაზღვრა იმ მშობლებით, რომლებსაც ჰყავთ სკოლის ასაკის

უფროსკლასელი გოგონები. მასწავლებელთა კატეგორია განისაზღვრა ნებისმიერი ასაკის პედაგოგებით, რომლებიც ასწავლიან 8-12 კლასებში.

გენდერი

„გოგონათა“ ორ ჯგუფში მონაწილეობდნენ ასევე ბიჭები, სულ სამი მონაწილე. მასწავლებელთა ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო ხუთმა მამაკაცმა (ინსტრუქციის თანახმად, ამ ჯგუფში არ იყო შეზღუდვა სქესის ნიშნით).

მონაცემების ანალიზი თითოეული მიზნობრივი ჯგუფისა და საკითხის მიხედვით, ციტატებითა და სიხშირული მონაცემებით

გოგონათა განწყობები

(ქვემოთ მოყვანილი მონაცემების ანალიზი დალაგებულია ფოკუს ჯგუფზე თითოეულ მიზნობრივ ჯგუფთან (უფროსკლასელი გოგონები, პედაგოგები, მშობლები) გამოყენებული კითხვების მიხედვით და წარმოადგენს ჩატარებული დისკუსიის პროცესში გამოთქმულ შეხედულებათა განზოგადებას, ტენდენციების გამოკვეთას და განსხვავებული პოზიციების აღნიშვნას. განსაკუთრებული შეხედულების შემთხვევაში მითითებულია რეგიონი, ქალაქი ან მონაწილის ეთნიკური კუთვნილება.)

რა საგნები მოგწონთ ყველაზე მეტად?

7 მოსწავლე გოგონა აღნიშნავს, რომ მათემატიკა მათი საყვარელი საგანია. ამასთან, აღნიშნავენ, რომ მათი სიყვარული ან კარგ მასწავლებელთანაა დაკავშირებული ან ოჯახურ ტრადიციასთან (დედაჩემი მათემატიკის მასწავლებელია), ორი მონაწილე ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მასწავლებლები უფრო მიდრეკილნი არიან წახალისონ ბიჭები მათემატიკაში და რომ ”ბიჭებს სულაც არ გამოსდით მათემატიკა უკეთ”. ასევე საგულისხმოა, რომ 3 შემთხვევაში საგანგებოდ აღინიშნა, რომ ”მათემატიკა და ფიზიკა არ მიყვარს” 7 მონაწილისთვის საყვარელი საგნებია ენები, ისტორია და ხელოვნება. ახალციხის ჯგუფის 5 მოსწავლე აღნიშნავს გეოგრაფიის სიყვარულს, რაც არ არის გამორიცხული მასწავლებელთან იყოს დაკავშირებული, თუმცა ერთი მონაწილე ასე ხსნის თავის მიდრეკილებას” სიტუაცია მოითხოვს, (უნდა ჩავაბარო) რომ ისტორია და გეოგრაფია მიყვარდეს”.

და რა გამოგდით ყველაზე კარგად?

ამ კატეგორიაში სიმღერა და ცეკვა ყველაზე ხშირად სახელდება. 6 გოგონა ასახელებს სახლის საქმეებს და დედისთვის დახმარებას: სადილების მომზადება, კერვა, ბავშვის მოვლა. რუსთავის გოგონების ჯგუფი გამოირჩეოდა სხვადასხვა სპორტის მიმართ მიდრეკილებით, მათ შორის, ”ბიჭური სპორტის” -ფეხბურთის, როგორც ჩანს დიდ ქალაქში ამის შესაძლებლობაც მეტია და უფრო წახალისებულიცაა. აზერბაიჯანელ გოგონებში, ერთი შემთხვევის გარდა, სპორტი საერთოდ არ ფიგურირებდა.

მოთხოვნებისა და ლექსების წერა დასახელდა 5 შემთხვევაში ქართულენოვანი მოსწავლეების მიერ.


შეგიძლიათ თუ არა კომპიუტერთან მუშაობა? ინტერნეტით სარგებლობა? სად არის კომპიუტერი?

ფოკუს ჯგუფის ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ აქვს კომპიუტერი და რომ შეუძლიათ ინტერნეტით სარგებლობა. ხშირია პასუხები სხვების მაგივრად : ”ყველას გვაქვს სახლში კომპიუტერი და ყველას გვაქვს ფეისბუკი.” პასუხებიდან ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს არის ოჯახის საერთო კომპიუტერი. თუმცა დასახელდა სკოლაში არსებული კომპიუტერებიც. ორი გოგონა აღნიშნავს, რომ კომპიუტერთან მათ ძმებს აქვთ უპირატესი წვდომა: ”ჩემი ძმა ზის სულ კომპიუტერთან” (ნინოწმინდა). ერთი მონაწილე კი აღნიშნავს, რომ თუმცა კომპიუტერი ყველასია, ის ყველაზე დიდ დროს უთმობს, სასწავლო მიზნებისთვის სჭირდება. რუსთავისა და ახალციხის მონაწილეები უფრო რთულ პროგრამებს ასახელებენ: ”ფოტოს და ვიდეოს დამუშავება ვიცით” (რუსთავი). ერთი ბიჭი მონაწილის აზრით ”ბიჭებს ეს უკეთ გამოსდით, ვიდრე გოგონებს” (ნინოწმინდა). რისთვის იყენებენ? დასახელდა სიხშირის მიხედვით:

- მეგობრებთან კონტაქტი (სოციალური ქსელები)
- ახალი ინფორმაციის მოძიება
- სასწავლო მიზნებით (სავარჯიშოების მოძიება, ლექსიკონით სარგებლობა, სასკოლო პროექტების მომზადება).

თამაშები ნახსენები არ ყოფილა.

ჩამოთვლილი შესაბამისობაშია მთელი საქართველოს მასშტაბით ინტერნეტ მომხმარებელთა CRRC კვლევის შედეგებისა (იხ. სურათი) ერთი განსხვავებით, ჩვენი შერჩევა -უფროსკლასელები ასევე სასწავლო მიზნებითაც იყენებენ ინტერნეტს, და როგორც გამოჩნდა, ოჯახებისთვის ეს საგრძნობი არგუმენტია, იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა იჯდეს კომპიუტერთან და რამდენი ხანი.



მისდევთ თუ არა რაიმე სპორტს? მიგაჩნიათ თუ არა ეს საჭიროდ? რისთვის?

მონაწილეთა უმეტესობა სპორტს პოზიტიურად უყურებს. პასუხებიდან გამომდინარეობს ის, რომ ადგილობრივი სპორტული ინფრასტრუქტურა, რაიმე სახეობის სპორტული სექციების არსებობა დიდად განსაზღვრავს გოგონების ჩართვას სპორტში. მარნეული ჯგუფის 3 გოგონა ასახელებს აკრობატიკას, რომელზეც დადიან, ხოლო დაბა დმანისში ჯგუფის ყველა მონაწილე სტადიონის გარშემო დარბის. ხუთი გოგონა ფეხბურთსაც თამაშობს ან თამაშობდა პატარაობაში. საინტერესოა, რომ თვითონ გოგონები აღნიშნავენ რომ არ მისდევენ სპორტს, რადგან გარეთ ნაკლებად არიან. ოთხმა მონაწილემ დააფიქსირა უარყოფითი დამოკიდებულება სპორტის მიმართ. ასევე დამახასიათებელია, რომ ამბობენ არ მისდევენ სპორტს, ხოლო შემდეგ ამატებენ, რომ დადიან ველოსიპედით, გოგრაგოლაჭებით ან ცურავენ: "სპორტს არ მივყვები, არც მომწონს. სადამოობით ვსეირნობ ველოსიპედით" (ახალციხე). რაც ნიშნავს, რომ სპორტი სპორტულ სექციაში სიარულს აღნიშნავს.

მონაწილეებმა დაასახელეს მიზეზები, თუ რისთვისაა საჭირო სპორტი გოგონებისთვის:

- ჯანმრთელობისთვის
- გარეგნობისთვის,
- იმისთვის, რომ თავი დავიცვა (ერთი პასუხი).

საინტერესოა, რომ სამმა მონაწილემ გამოთქვა საპირისპირო აზრი, რომ სპორტი გოგონების გარეგნობას არ უხდება. განსაკუთრებით ხაზგასმით ეს აზრი მონაწილე ბიჭმა დააფიქსირა: "გოგონები ნაზები არიან და არ უხდებათ ასეთი (იგულისხმებოდა კარატე) სპორტი" (ნინოწმინდა)

რას ფიქრობთ სკოლის დამთავრების შემდეგ? რა არის თქვენი გეგმები? როგორ ხედავთ თქვენ მომავალს?

მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა გეგმავს სკოლის დამთავრებას და სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში. სახელდება სპეციალობების დიდი სპექტრი: ენები, ჟურნალისტიკა, სამედიცინო, ფსიქოლოგია, მათემატიკა და საინჟინრო, ბიზნესი, საერთაშორისო ურთიერთობები, იურიდიული, ბიოლოგია, ქორეოგრაფია და სამხატვრო აკადემია. ერთი გოგონა პოლიციის სკოლაში აპირებს სწავლას და სურს "სპეცნაზში" მუშაობა, მამის რჩევით. როგორც ჩანს ჩვენი შერჩევის წევრების ინტერესები და მომავალი არჩევანი ამ ასაკში არ არის სტერეოტიპულად ქალური სპეციალობებით შემოფარგლული. გამონაკლისს ქმნიან აზერბაიჯანელი გოგონები - არ აღნიშნავენ სწავლის გაგრძელებას, ხოლო ერთი გოგონა ამბობს რომ გათხოვდება. მხოლოდ ერთ გოგონას აქვს მტკიცე გადაწყვეტილება გაჰყვეს სპორტს და ჩააბაროს სპორტის აკადემიაში.

რა პროფესიები გაინტერესებთ?

უნდა ასევე ითქვას, რომ მათი მომავალი სპეციალობების მრავალფეროვნების მიუხედავად უფრო მრავალფეროვანია და ნაკლებად სტერეოტიპული საქმეები და პროფესიები, რომლებიც მათ აინტერესებთ: ქირურგობა, მფრინავობა, კოსმონავტობა, პროკურორობა და ადვოკატობა, დიზაინერობა, ფოტოგრაფია, ფილოსოფია, ფიზიკა, აქტიუტურა- როგორც ჩანს ეს პროფესიები კი აინტერესებთ, მაგრამ "ვერ ირგებენ" საკუთარ თავზე და სამომავლოდ უფრო "მოკრძალებელ და ჩვეულებრივ პროფესიებს ირჩევენ. საინტერესო იყო , რომ ამ კეტეგორიაში საინტერესო საქმე გამოჩნდა 3 შემთხვევაში კულინარია და ბისერით ქსოვა. აზერბაიჯანელი გოგონების ჯგუფში საინტერესო პროფესიებში დასახელდა მასწავლებელი, ფინანსისტი, მხატვარი. სასურველი საქმეებიდან ამ ჯგუფში დასახელდა მანქანის ტარება.

შეკითხვაზე როგორ უყურებენ თქვენს სურვილებს თქვენი მშობლები? დედა? მამა? სხვა ახლო ნათესავები?

მონაწილეთა პასუხებიდან ჩანს, რომ მშობლები ძირითადად მხარში უდგანან შვილებს, როცა მათი არჩევანი ემთხვევა მშობელთა რჩევას: "ემთხვევა ჩვენი აზრები, ამის გამო ბედნიერი ვარ. მომავალი პროფესიაც მათ შემომთვავეს და შემდეგ თვითონაც დავინტერესდი და დავთანხმდი."

"მშობლების აზრი და ჩემი აზრი, ხშირად ემთხვევა. პატივს სცემენ ჩემ სურვილებს. მომავალი პროფესიის არჩევანიც პატარაობიდან ჩამინერგეს მშობლებმა და კმაყოფილი ვარ."

თუმცა ზოგ შემთხვევაში ამ ჩარევას გოგონები კონფლიქტურად აღიქვამენ: "პრობლემა გვაქვს პროფესიის არჩევაზე. ბოლო დროს მომინდა კომპიუტერის განხრით სწავლა, ადრე სამედიცინო მინდოდა. რაც მშობლებს არ მოსწონთ, გოგოს საქმედ არ თვლიან და პირველ არჩევანს ამჯობინებენ."

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში გოგონა ირჩევდა არასტერეოტიპულ "არაქალურ" სპეციალობას, რასაც მშობლების მხრიდან კორექცია მოჰყვებოდა "უფრო ქალურის" მიმართულებით.

როგორ შეხვდება თქვენი ოჯახი, თუ სასწავლო ან სამუშაო მიზნებისთვის სახლიდან შორს მოგიწევთ წასვლა?

აღსანიშნია, რომ გოგონათა მომავალი განათლება დედაქალაქში ან ძირითადად სხვა ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას გულისხმობს, გამონაკლისს, ალბათ, ქალაქი ახალციხე წარმოადგენს, სადაც სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალია განლაგებული და მრავალი სპეციალობის დაუფლებას ადგილზეც შეძლებენ. ამასთან გოგონები თვლიან, რომ არ ექნებათ პრობლემა მშობლების და ახლობლების მხრიდან. ზოგს საკმაოდ მკაფიო გეგმა აქვს თავისი თბილისში ცხოვრების თაობაზე:

"ჩემს მეგობრებთან ერთად ვიქირავებ ბინას თბილისში, მე სამედიცინოზე ჩავაბარებ, გვანცა ჟურნალისტიკაზე, ქრისტინე ფსიქოლოგიურზე. სამზარეულოში ისინი იტრიალებენ, მე ეკონომიკურ საკითხს მოვაგვარებ, სამსახურს ვიშოვი და ბიუჯეტს განვკარგავ".

გვხვდება შემთხვევები, როცა მშობლები თავიანთ ქალიშვილებთან ერთად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, რათა შვილებს ხელი შეუწყონ: ასე რუსთავის ჯგუფის წევრი ყვება, "მე და დედა გადმოვალთ თბილისში და მე უმაღლესში ჩავაბარებ, ბებია-ბაბუა

რუსთავში დარჩებიან.”ამასთან ჯგუფის სხვა წევრების რეაქციებიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არ არის უჩვეულო შემთხვევა. ჯავახეთის მკვიდრი სომეხი გოგონები ამბობენ, რომ: ”მშობლები ხელს გვიწყობენ, რომ სწავლა აქედან მოშორებით გავაგრძელოთ”. კვლავ განსხვავებული პასუხები გვაქვს აზერბაიჯანული ჯგუფიდან: ” ცუდად შეხვდებიან ამ ამბავს”, ” ვფიქრობ არ გამიშვებენ , ასე დიდი ხნით არ მიშვებენ, ” მარტო არ გამიშვებენ თუ ახლო ნათესავი არ იქნა იქ”, ” მხოლოდ მათი კონტროლოს ქვეშ”. საინტერესოა, რომ ქართველი ეროვნების გოგონა ქვემო ქართლიდან ასე ახასიათებს აზერბაიჯანელი თანატოლის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს:

”სავარაუდოდ, ხელს არ შეუწყობენ. თუ არ არის გამოსული აზერბაიჯანული ოჯახი, ვერ შეძლებს სწავლის გაგრძელებას, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. გოგოს არ აქვს უფლება სხვა ქალაქში გადასვლის და სწავლის გაგრძელების. ოჯახში ეტყვიან, რომ სახლში უნდა იჯდე, სწავლა გოგოს საქმე არ არისო.”

არის ისეთი საქმე, რისი კეთებაც არ ითვლება სასურველად გოგონებისთვის? ვინ გეუბნებათ ამას, საიდან იცით?

აქ პასუხები ორ კატეგორიად გაიყო: ა)თვით გოგონების შეხედულებები და ბ)სხვათა შეხედულებები გოგონებისთვის/ ქალისთვის არასასურველ საქმეებზე.

ა. კატეგორიაში დასახელდა: მძიმე ფიზიკური შრომა (4 მონაწილე), სხეულით ვაჭრობა. ახალციხის ჯგუფში მკაფიოდ გაიჟღერა თანასწორობის იდეამ;”ჩემთვის არაფერი არ არის, რასაც ქალი გააკეთებს და კაცი ვერ, და პირიქით”. ამასთან ჟღერდა გარკვეული წყენა გოგონებისთვის დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით: ”მომწონს და ხშირად ვთამაშობ ფეხბურთს და ეს ძმას არ მოსწონს, ჰგონია, რომ მხოლოდ ბიჭების სპორტია” ან ”თუ ქალი ფიქრობს ფიზიკურადაც უნდა იმუშაოს აკრძალვა არ უნდა ჰქონდეს” და ასეთი აზრებისგან დისტანცირება:უფრო გვესმის აზრები, რომ ”ხშირად გამიგია”, ბიჭები თვლიან, რომ ” ძმისგან და მშობლებისგან მსმენია”,”ბებიების თაობისგან”. ბ. კატეგორიაში გვხვდება შემდეგი, გოგონასთვის არასასურველი საქმიანობების მდიდარი ჩამონათვალი: ფეხბურთი და ძალოსნური სპორტი (3 მონაწილე), პოლიციაში მუშაობა, პროგრამისტობა, პოლიტიკა, მანქანა, ჯარი, მიმტანობა ”ცუდი ყოფაქცევის ქალებად ითვლებიან”, მეხანძრეობა და ოჯახის უფროსობა (!). ეს უკანასკნელი აზერბაიჯანელმა მონაწილემ დააფიქსირა. ნათლად გამოჩნდა ქალისთვის არასასურველის და ქმრის და ”ოჯახისთვის ” მიუღებელის კავშირი: ”это от семьи зависит,какой муж” (მარნეული)და ღამის ცვლაში მუშაობის მიუღებლობა ქალისთვის. დმანისელმა გოგონამ ეს ასე ჩამოაყალიბა :

”ქალს, რომელსაც ოჯახი ჰყავს, არ უნდა ჰქონდეს ისეთი პროფესია, რომელიც ღამე სახლიდან გასვლას მოგთხოვს. იმიტომ, რომ არ შეეფერება ქალს ღამე სახლიდან გასვლა. ოჯახს აკლდება ყურადღება და ბავშვის აღზრდასაც ვერ ახერხებს კარგად. მეუღლეს არ ესიამოვნება მისი ცოლი რომ ღამე გადის სახლიდან”.

ვინაა თქვენი გმირი? ვისი ცხოვრებაა თქვენთვის სამაგალითო? (საქართველოში, მსოფლიოში)

ეს შეკითხვა იმისთვის დაისმოდა, რომ გაგვეგო თუ ვისთან ახდენენ გოგონები იდენტიფიკაციას: ქალებთან თუ მამაკაცებთან, რაზე არიან ორიენტირებულნი და რა თვისებების და საქმეების გამო თვლიან თავის გმირებს მისაბამად. უნდა ითქვას, რომ ფოკუსს ჯგუფის ჩატარებისას საგანგებო ხაზგასმა დაგვჭირდა, რომ მონაწილეებს მისაბამ ქალებზეც ეფიქრათ. ამ სპეციალური ძალისხმევის გარეშე გოგონები, პირველ რიგში მამაკაცები მოჰყავთ მაგალითად. ასევე შეიმჩნეოდა არჩევის არეალის დავიწროების ტენდენცია ადგილობრივი და ნაცნობი ადამიანებით, რის შემდეგაც ვეკითხებოდით ასევე მსოფლიო მასშტაბით მოღვაწე ადამიანებზე.

ახლობელი ქალი (დედა, მამიდა, მასწავლებელი) 4 პასუხში; ზოგადად წარმატებული ქალები (1) ძალაუფლების მქონე ქალები 3 (თამარ მეფე, ანგელა მერკელი, ტეტჩერი); ვარსკვლავი და ქველმოქმედი ქალები, 3 (ანჯელინა ჯოლი, მონიკა ბელუჩი), ნინო სურგულაძე (მიმზიდველი ქართველი ქალი), ოთარაანთ ქვრივი (1), ინგა გრიგოლია. დანარჩენ მისაბამ ადამიანებად დასახელდნენ კაცები: მეფეები და მებრძოლები სამშობლოსთვის 4, მამა 2, წიგნის გმირები 4, სამართლიანობისთვის მებრძოლი არაქართველი მამაკაცები 3(კინგი, მანდელა), კრისტიან რონალდო, პატრიარქი, მოძღვარი (1).

რატომ არიან მისაბამები, რა მახასიათებლებისთვის? ქალებისთვის: ქველმოქმედი, გულთბილი და ახლობლებისთვის თავდადებული, მიმზიდველი, წარმატებული, ”ის შეძლო, რაც სხვა ქალებმა ვერ შეძლეს, მხარდამჭერი, მხნე.

კაცებისთვის: პრინციპებისთვის, მიზანსწრაფულობა, მებრძოლი ადამიანთა უფლებებისთვის, ქველმოქმედება, სამშობლოს სიყვარული.

მეგობრობთ თუ არა ბიჭებთან? რა საქმეში ხართ ერთად?

ბიჭებთან მეგობრობა მონაწილეთა უმრავლესობისთვის ჩვეულებრივია რამაა. ერთობლივი მეცადინეობა, სპორტი და სასკოლო პროექტები ამ მეგობრობას უწყობს ხელს. ქართველი და სომეხი მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ ერთად დადიან ლაშქრობებში, ქალაქში და ერთობიან. აზერბაიჯანელი მონაწილეები უფრო თავშეკავებით საუბრობენ ბიჭებთან მეგობრობაზე. იგრძნობა ორი სქესის ტრადიციული დისტანცირება და აკრძალვა ახლო ურთიერთობებზე(იხ. სულეიმანოვა) : ”უბრალოდ ნაცნობები არიან, ახლობლები არა”

რას ფიქრობთ სკოლის ასაკში გათხოვილ გოგონებზე?

მონაწილეთა დიდი უმრავლესობისთვის ადრეული ქორწინება გოგონასთვის უარყოფითი მოვლენაა, ხოლო ამის სხვადასხვა მიზეზი სახელდება: ფსიქოლოგიური მოუმიწიფებლობა, ბავშვობის დაკარგვა, გემოვნების ცვლას (რის გამოც მერე ქმარი აღარ მოეწონება), ის, რომ გათხოვების შემდეგ აკრძალვებში ექცევა: ”ქმარი უკრძალავს სახლიდან გასვლას და უნდა ბავშვებს მოუაროს მარტო და სახლის

საქმეები აკეთოს”, იმიტომ, რომ განქორწინებით მთავრდება. მაგრამ მთავარი აზრი ისაა, რომ გოგონა წყვეტს საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას და ვეღარ აგრძელებს განათლებას და ვერ რეალიზდება ცხოვრებაში. ჟღერს უკიდურესად უარყოფითი შეფასებები: ”ამაზრუნია” (რუსთავი), ”საშინელებაა” (ახალციხე), ”კატასტროფაა” (ახალციხე).

ამასთან ერთად, ეს მოვლენა განიხილება, როგორც გოგონას საქციელი, მისი გადაწყვეტილება და იძულების მომენტი ფაქტობრივად არ განიხილება:”მეცხრე კლასის მერე გოგოები თვლიან თავს ზრდასრულად და ამიტომ თხოვდებიან” აქედან გამომდინარე ყველა პრეტენზია გოგონებთანაა:

”გოგო თვითონ წყვეტს ძირითადად ამას, მაგრამ სრულიად მიუღებელია იმიტომ, რომ ეგეთი ქორწინებები ძირითადად დაშორებით სრულდება ხოლმე. თან მომავალიც აღარ აქვს გოგოს, სწავლას წყვეტს. ისეთი ასაკია ეს, როცა გონივრულ გადაწყვეტილებას ჯერ ვერ იღებს გოგო”.

ერთი მონაწილე ამაში ხედავს გოგონას ნების თავისუფალი გამოხატვის მაგალითს და ამიტომ ლოიალურია:” მე პატივს ვცემ გოგოს გადაწყვეტილებას, ეს მისი ფიზიკური მოთხოვნებია”

მხოლოდ დამატებითი შეკითხვით დგინდება, რომ უფრო ხშირად ადგილი აქვს იძულებას:” ჩემ თანაკლასელებში 2-მა გოგომ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება გათხოვების, ხოლო დანარჩენები მოიტაცეს”(ნიმორწმინდა), ”მშობლების ბრალიც შეიძლება იყოს ბავშვის ასე ადრე გათხოვება”, ”გატაცებით, დამუქრებით, ოჯახის სურვილით, მაგალითად ჩვენს მეზობელ სოფლებში”.

ადრეული ქორწინებების სიხშირეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი გამონათქვამებიდან: ”ჩემს გარშემო მეცხრე კლასიდან 10- დან ყოველი 2 გოგო გათხოვილია” (რუსთავი) ან იგივე ” ჩემი თანაკლასელებში 2-მა გოგომ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება გათხოვების, ხოლო დანარჩენები მოიტაცეს”, ”ბევრი ჩემი მეგობარი, რომელიც ამ ასაკში გათხოვდა თვლის, რომ . . .” და ა.შ.

აზერბაიჯანელი გოგონების ჯგუფში დიდი აზრთა მრავალფეროვნება მოჰყვა ადრეული ქორწინების ასაკის განსაზღვრას. აღინიშნა გოგონათა გათხოვების კონკრეტული შემთხვევები 13-15 წლის ასაკში, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. ამის მიმართ დამოკიდებულებაც ზოგიერთს უფრო ლოიალური აქვს ” თუ ქმარი კარგი ბიჭია” . ასევე, სწორედ ამ ჯგუფში აღინიშნა, რომ სოფლებში ცუდი სკოლებია და ამიტომ თხოვდებიან გოგონები, მაგრამ ისიც ითქვა, რომ გოგონებს ოჯახებიდან ეკრძალებათ სწავლა სკოლებში (მარნეული).

არც ერთ შემთხვევაში არ იყო განხილული ადრეული ქორწინება, როგორც კანონსაწინააღმდეგო ან ქალის/გოგონას უფლებების შემლახავი მოვლენა.

რას ფიქრობთ იმაზე, რომ ახალგაზრდა ქალები მსოფლიოში ფიქრობენ რომ ჰქონდეთ საკუთარი შემოსავალი და იყონ დამოუკიდებლები?

აქ პასუხები პრაქტიკულად ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს, რომლის განზოგადებაც ამ დმანისელი გოგონას ფრაზით შეიძლება:” ქალიც უნდა იყოს დასაქმებული და მამაკაციც ოჯახში და პრობლემები ერთად უნდა გადაწყვიტონ. კარგია, რომ ქალს დამოუკიდებელი შემოსავალი ჰქონდეს. მაგრამ ზოგი მამაკაცი არ ფიქრობს ასე”.

არიან თუ არა ბიჭები და გოგონები თანასწორები? რატომ ფიქრობთ ასე?

მონაწილეთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ არ არიან თანასწორნი, ამასთან ზოგიერთი დასძენს, რომ უნდა იყვნენ, ხოლო მცირე ნაწილი კი თვლის, რომ ”არც არის ეს სწორი” (მარნეული). 3 ჯგუფში დისკუსიისთვის დამახასიათებელი იყო, რომ გადადიოდა ბიჭებისა და გოგონების თანასწორობიდან ქალებისა და კაცების თანასწორობის საკითხზე მსჯელობაზე, კერძოდ, ოჯახში უფლებებზე და როლებზე, სავარაუდოდ იმიტომ, რომ უთანასწორობა ნაკლებად ჩანს ბავშვობისას და იკვეთება მოზრდილ როლებში : ”ბიჭები და გოგონები თანასწორები არიან ჩვენს სკოლაში მაგალითად, თუმცა ქალების და მამაკაცების დონეზე უკვე აღარ არიან თანასწორები ” (დმანისი).

როდესაც დისკუსია დარჩა ბიჭებსა და გოგონებს შორის თანასწორობის საკითხის დონეზე, დასახელდა უთანასწორობის ისეთი ფორმები, როგორცაა: ორმაგი სტანდარტი” ბიჭს შეუძლია პირველ საათამდე იყოს ეზოში, გოგო კი 11-ზე უკვე სახლში უნდა იყოს”. ან ”თუ გოგო დიდი ხანი იქნება გარეთ, მეზობლები ცუდს იფიქრებენ მასზე”. ”სახლის საქმეები ყველაფერი გოგომ უნდა გააკეთოს და ბიჭმა არა”. (რუსთავი) გაძლიერებული კონტროლი გოგონას ქცევაზე:”ძმა არ მიშვებს ხოლმე ვეჩერინკებზე, მაკონტროლებს”.

საინტერესოა, რომ ორმა ბიჭმა მონაწილემ დმანისიდან აღნიშნა, რომ გრძნობენ, რომ: ”ოჯახში ბიჭები უფრო პრივილეგირებულები არიან ვიდრე გოგონები”.

მასწავლებელთა განწყობები

ქმნის თუ არა თქვენი სკოლა ერთნაირ შესაძლებლობებს გოგონების და ბიჭების განვითარებისა და თავისუფალი არჩევანის გასაკეთებლად? რა კეთდება ამისთვის?

ეს შეკითხვა მონაწილეებს განსხვავებულად ესმით, ასე წალკის ჯგუფში სკოლაში მამაკაცი მასწავლებლების ყოფნა, უკვე ნიშანი იყო გოგონებისა და ბიჭებისთვის ერთნაირი პირობების შექმნისა. უმეტესობა ლაპარაკობს იმაზე, რომ სკოლა არ აკეთებს განსხვავებებს და რომ არ ხდება გარჩევა ”როგორც მუსლიმანურ სოფლებში”(წალკა).

დეკლარირების დონეზე ყველა მონაწილე პედაგოგი ეთანხმებოდა, რომ ერთნაირი პირობები უნდა იყოს, მაგრამ აქაც ვხვდებით განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. ასე ერთ-ერთი სკოლის დირექტორის აზრით თანასწორი პირობებია, როდესაც ორივე სქესის ბავშვს რაღაცას შესთავაზებ, მაგრამ განსხვავებულს სქესის მიხედვით:

”სკოლაში ჰყავდათ ხელოვნების მასწავლებლები, ვაჟები სწავლობდნენ ქვაზე და ხეში კვეთას, ხოლო გოგონები ბისერებზე, თექაზე მუშაობას- გოგონების, უფრო სწორად, მსურველთათვის იყო განკუთვნილი და ამისათვის დავიქირავეთ ეს მასწავლებლები,

რომ გოგონებიც და ბიჭებიც ყოფილიყვნენ ჩართული. ასე, რომ ერთნაირად ხდება და ცვდილობთ ერთნაირი გარემო შევუქმნათ ორივეს”

თუმცა გვხვდება ასეთი გენდერულად კორექტული მიდგომებიც:

”ვასწავლით, კონკრეტულად თაბაშირს და არ ხდება გოგოს და ბიჭის გარჩევა, აბსოლუტურად ერთნაირად ვასწავლით. ასე არ დაგვიყენებია საქმე, რომ ცალ-ცალკე ესწავლათ. შევთავაზეთ ისეთი კურსი, რომ ორივე სწავლობენ ერთნაირად.”

აღსანიშნავია, რომ მართალია შეკითხვა არ ეხებოდა გოგონების და ბიჭების უნარების შეფასებას, ზოგიერთ პასუხში მაინც გამოსჭვივის ბიჭების სასარგებლო გენდერული მიკერძოებულობა: ”როგორც მათემატიკის მასწავლებელი, ერთნაირად ვუდგები ყველას, თუმცა მაინც ოლიმპიადებზე ბიჭები უფრო სჯობნიან” (ნინოწმინდა), კომპიუტერულ კურსებზე თითქმის თანაბრად არიან გადანაწილებულები, ოდნავ მეტად ბიჭები (ნიშნავს, რომ ეს თანაფარდობა ნორმალურად მიაჩნია). აზერბაიჯანელ მასწავლებელთა ჯგუფში თანაბარი პირობები გაგებული იყო, როგორც ის, რომ ერთ კლასში სხედან ბიჭებიც და გოგონებიც” ან, რომ ”ცალკე გაკვეთილები უნდა არსებობდეს ბიჭებისთვის და გოგონებისთვის. ამის ფინანსები არ გვაქვს”

გამოჩნდა ისეთი აქტივობა, როგორც ბიჭებსა და გოგონებთან „თანაბრად”(ციტატა) პროფესიაზე საუბარი. (ნინოწმინდა).

ახალციხის მონაწილეები აღნიშნავენ მშობლებთან მუშაობას ” ამ კუთხით” და საგანს” ტოლერანტობა”, რომელშიც ასწავლიან გენდერულ საკითხებსაც.

როგორია დღეისთვის მიახლოებითი სტატისტიკა თქვენი სკოლადამთავრებულებიდან: რამდენი გოგო და რამდენი ბიჭი აგრძელებს სწავლას?

ასეთ ზუსტ სტატისტიკას პედაგოგები არ ფლობენ და არც ადრე საგანგებოდ არ დაინტერესებულან, გარდა წალკის პედაგოგებისა, რომელთაგან ერთი მასწავლებელი გვპასუხობს, რომ ” ეს სტატისტიკა მოიპოვება სკოლაში, ჩვენ ვკითხულობთ ვინ სად გააგრძელა სწავლა და ამის აღრიცხვასაც ვაკეთებთ. გოგონები არ იჩაგრებიან ამ კუთხით, თანაბრია ან შეიძლება უფრო მეტმა გოგომ გააგრძელოს სწავლა.”

სუბიექტური შეფასებით ზოგიერთი მასწავლებლის აზრით ბოლო 1-2 წელი ბიჭები ჭარბობენ” თუმცა აქვე გვხვდება აზრი, რომ :” უმეტესად გოგონები აგრძელებენ სწავლას უმაღლესში , ბიჭები ან სამხედრო და პროფესიულ სასწავლებელში მიდიან” (ახალციხე)

მარნეული სკოლის აზერბაიჯანელი პედაგოგი აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში გოგონები ბოლო კლასებამდე რჩებიან სკოლაში, თუმცა ამავე ჯგუფის მეორე მასწავლებელი დასძენს, რომ ხდება ისე, რომ მე –9 კლასიდან გოგონები თხოვდებიან.

გაქვთ თუ არა სკოლის ასაკში გოგონების გათხოვების შემთხვევები? რამდენი? როგორია თქვენი აზრი ამაზე?

ასეთ შემთხვევას ყველა მონაწილე აღნიშნავს, თუმცა განსხვავებულ ტენდენციებს მიუთითებენ. ნინოწმინდის სკოლის მასწავლებლების თანახმად, ასეთმა შემთხვევებმა ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო და მხოლოდ ერთ შემთხვევას იხსენებენ, როცა გოგო მოიტაცეს. ახალციხის ჯგუფის ერთ-ერთ მონაწილეს ასეთი სტატისტიკა მოჰყავს: "11 კლასიდან 3 გოგონა გათხოვდა ამ წელს და წავიდა სკოლიდან." თუმცა ამავე ჯგუფში სხვა მასწავლებლების ინფორმაციით ზოგი გათხოვილი გოგონა რჩება სკოლაში ან ექსტერნად ამთავრებს სკოლას. ასეთივე ოპტიმისტურ სურათს ხატავს წალკელი მასწავლებელი სკოლის ასაკში გათხოვების შემთხვევებს რეგიონს და ეთნიკურობას უკავშირებს ("ისე ხშირად არ ხდება ჩვენთან, როგორც მარნეულში"). აზერბაიჯანული სკოლის მასწავლებელთა აზრით, ამას ხშირად აქვს ადგილი და რომ გოგონები თხოვდებიან, თან მისი აზრით თავისი ნებით ძალიან ადრეული ასაკიდან "девочки убегают замуж с 6-го, 7-го классов". ასევე ასხვავებენ ქალაქი-სოფელში მიმდინარე ტენდენციებს, სადაც თუ ქალაქში 17 წლის ასაკში თხოვდებიან, სოფლად 14-16 წლებისა.

ერთადერთი სადაც კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება დაფიქსირდა ამ მოვლენის მიმართ იყო ნინოწმინდის ჯგუფი. დანარჩენ შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, არ არის მკვეთრი პოზიცია. "გააჩნია ოჯახს" (იგულისხმება ოჯახი, რომელშიც შედის გოგონა) გვესმის მარნეულისა და წალკის ჯგუფებში. ისინი, ვინც უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებს ამისთვის სხვადასხვა არგუმენტები მოჰყავთ:

"არ უნდა იჯდეს სხვა მოსწავლეებთან", "სხვებმაც შეიძლება მიხადონ", "სკოლის პერიოდში გათხოვება სწავლაში უშლის ხელს", "ფსიქოლოგიური მზაობა და აზროვნებაც არ ყოფნის ის საქმე აკეთოს, რომ ოჯახი შეინახოს"(ახალციხე) "თითქმის ყველა ნანობს მერე" (წალკა).

აღსანიშნავია, რომ არც ერთი მონაწილე არ გმობს ადრეულ გათხოვებას, თვით გოგონას ინტერესებიდან და მისი უფლებებიდან გამომდინარე და მითუმეტეს, არ მიიჩნევს ამ მოვლენას უკანონობად. საერთოდ გამოთქმულ აზრებში შეიმჩნევა ქორწინების ინსტიტუტის საკრალიზაცია და არასდროს ხდება მისი გმობა, თუნდაც ნაადრევი ქორწინების შემთხვევაში. იგივე მონაწილეები, რომლებიც თითქოს იწყებენ სკოლაში გათხოვების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების დაფიქსირებით, შემდეგ ფრაზებს ამთავრებენ ტექსტებით: "საერთოდ მისაღებია, ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნა, უფრო უკეთესია." "პირადად არ ვარ წინააღმდეგი." "ვფიქრობ, რომ ადრე შექმნილი ოჯახი უფრო უკეთესი და სტაბილურია".

აზერბაიჯანელი მასწავლებლების ჯგუფში დისკუსია არა მოვლენის, არამედ ადრეული ქორწინების ასაკის გარშემო წარიმართა (მსგავსად გოგონების ჯგუფისა) როგორც ჩანს 16-17 წლები (დამამთავრებელი კლასები) არ ითვლება ამ თემში ნაადრევად. "ჩვენთან ამბობენ, რომ 17 წლისა უკვე დარჩენილიაო." ყოველგვარი გმობისა თუ კრიტიკის გარეშე ერთ მონაწილეს მოჰყავს თავისი ნათესავის შემთხვევა, რომელმაც 13 წლისა გაათხოვა თავისი გოგონა.

ყველა გამოთქმული შეხედულება მონაწილეები იმ აზრს ამტკიცებენ, რომ გოგონას ადრეული (სკოლის ასაკში) გათხოვება მისივე (გოგონას) სურვილით ან

დაუფიქრებლობით მომხდარი ფაქტია. იძულებაზე და მისი ბედის სხვების მიერ განსაზღვრულობაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

არსებობს მონაცემები, რომ საქართველოში გოგონები არ ირჩევენ ტექნიკურ, საინჟინრო პროფესიებს და ზუსტ მეცნიერებებს? რა არის ამის მიზეზი?

მიზეზების ახსნისას მონაწილეებში დომინირებდა შეხედულება, რომ გოგონებს არ აქვთ ამის მიდრეკილება და უნარი. ასე სხვადასხვა ჯგუფში გაიჟღერა მსგავსმა აზრმა: " ყველას არ აქვს ტექნიკური აზროვნება, უმეტესად მაინც ბიჭებს აქვს, ეს ბუნებრივად ზის ადამიანებში. გოგოს სხვანაირი აზროვნება და სხვანაირი მოვალეობები აქვს." (ახალციხე) "технические предметы девочкам даются очень сложно"(მარნეული); "ეს საგნის არჩევა უფრო ბუნებიდან მოდის, შემეცნების უნარი უფრო მეტი მამაკაცშია, ვიდრე ქალში."

ასევე მიზეზებში სახელდება ქალის ტრადიციულ საოჯახო როლთან ამ საგნების შეუსაბამობა: "მე, მაგალითად გეოლოგი გეოდეზისტი ვარ და ძალიან მინდა ჩემი პროფესიით ვიმუშაო, მაგრამ ქალისთვის ეს პროფესია არ არის, ოჯახიდან უნდა გავიდეს" (წალკა). "ქალი უმეტესი დრო ოჯახში უნდა იყოს, დრო შეზღუდულია უფრო მეტად.", "ალბათ ტრადიციებიდან და გარემო პირობებიდან გამომდინარე, მიმართულებას მაინც ოჯახიდან და გარემოდან იღებს." (ახალციხე); "специальность врача, учителя это лучшее для семейных женщин (მარნეული)"; "კაცს შეუძლია სამუშაოდ სხვაგან წასვლა, ხოლო ქალები ვერ წავლენ, სწავლის შემდეგ უნდა გათხოვდნენ" (ნინოწმინდა).

ზოგიერთი მონაწილის მხრიდან გამოთქმული აზრები მოწმობს იმას, რომ თვითონ კარგად აცნობიერებენ სტერეოტიპული შეხედულებების და ტრადიციული პრაქტიკების როლს და არ იზიარებენ მათ პათოსს გოგონების ტექნიკური საგნებიდან დისტანცირების შესახებ. გაიჟღერა საკმაოდ კარგმა ანალიზმა გენდერულად მიკერძოებული სოციალიზაციის გავლენის შესახებ: "თავიდანვე მშობლებიც უწყობენ ხელს ჩამოყალიბებაში, როცა გოგონასთვის ყიდულობენ თოჯინას და ბიჭისთვის იარაღს ან მანქანას. ანუ ბავშვებს ვზრდით იმ მიმართულებით, რომ ის არის გოგონა და თითქოს იმას მოვუძებნეთ თავისი მიმართულება და ბიჭს თავისი" (ახალციხე). "სტერეოტიპები მუშაობს" (წალკა)

ასევე საკმაოდ ხშირად დისკუსია, რომლის დროსაც ხდება განზოგადებები გოგონებიდან საერთოდ ყველაზე. ხდება იმის გარშემო აზრების გამოთქმა, რომ ეს საგნები და პროფესიები საერთოდ არაა მომგებიანი არც ერთი სქესისთვის, არაა სამუშაო ადგილები, სხვა პროფესიები უფრო ფასობს, მაგალითად ბიზნესი.

არსებული მონაცემებით ქვეყანაში ძალიან ცოტა გოგონა ჩაბმული სპორტში? რა არის ამის მიზეზი თქვენი აზრით?

ძირითად შემთხვევებში დისკუსია ამ კითხვაზე იღებს ზოგად ხასიათს და გოგონების პრობლემიდან სპორტის არაპოპულარობის თემაზე გადადის და ეს შემდეგი

ფრაზებიდან ნათლედ ჩანს: "სპორტი ფიზიკურ ძალას და დატვირთვასაც მოითხოვს, თან სიგარეტი და სასმელიც არ უნდა მიიღოს და ახალგაზრდობა დღეს სხვანაირად ფიქრობს." "დღეს კომპიუტერთან ატარებენ მეტ დროს და ამან დააკარგვინა დრო ბავშვებს," სპორტს ხელშეწყობა სჭირდება მთავრობისგან. მარტო მოედნების არქონაზე არაა".

გოგონების პრობლემებზე ფოკუსირებული შეხედულებებიდან საგულისხმოა ის, რომ გოგონებს "არ ჰყავთ მისაბაძი მაგალითი, სპორტსმენი ქალი, არც ქალი მასწავლებლები არიან" (ახალციხე), "მათ სკლაში ქალი მასწავლებელიც ყავთ სპორტის და ესეც ახდენს გავლენას ალბათ." (იგულისხმება, რომ გოგონები მისდევენ იქ სპორტს).

ერთობ მოულოდნელი აზრი დააფიქსირდა ნინოწმინდის ჯგუფში: "ჩვენ ყველა ვვარჯიშობთ ქალები და ფეხბურთსაც ვთამაშობთ ხოლმე". ეს სოფელი სათხის პედაგოგმა თქვა, რაც ძალიან საინტერესოა, რადგან უნდა ვივარაუდოდოთ, რომ იქ განსაკუთრებული სპორტული კულტურა ყოფილა დანერგილი და შეიძლება საუკეთესო მაგალითად გამოვიყენოთ.

პასუხებიდან ასევე ვიგებთ, რომ რაიონებში არსებული სპორტული სექციები და ნაგებობები უფრო ბიჭების საჭიროებებს ემსახურება, რადგან შესაბამისი სპორტი ბიჭების სპორტად ითვლება საქართველოში: " არ არის სპორტული ბაზები. ბიჭებისთვის უფრო არის კარატე და რაღაცეები და გოგონებისთვის არა."

და რა თქმა უნდა არის პასუხები, რომელშიც ჩანს რომ მონაწილეები აცნობიერებენ ადგილობრივი მენტალიტეტისთვის გოგონას სპორტით დაკავების მიუღებლობას ან შეუსაბამობას: Во первых менталитет; куда пошла девочка, на какой спорт" "до 13 лет спортом можно заниматься, а после уже не стоит. Замуж ей надо а она прыгает, скачет шпагаты делает" и т.д. ", ". . . ასევე ალბათ მიზეზი ისიცაა, რომ სპორტი ფიზიკურ ძალას და დატვირთვასაც მოითხოვს".

ზოგადად, კი შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები უყურებენ სპორტს, როგორც დადებით მოვლენას გოგონასთვის, მისი ჯანმრთელობისთვის და სახელმწიფოს მხრიდან სპორტის ყველანაირად ხელშეწყობას მოელიან.

საქართველოს მონაცემებით გოგონებს ნაკლებად აქვთ გამოხატული შემეცნებითი ინტერესები. უნდა გაკეთდეს რაიმე ამის გამოსასწორებლად?

დასახელდა მრავალი საიტერესო ინიციატივა: მოტივაციის ამაღლება სკოლის მხრიდან ცოდნის რეალიზაციის ხელშეწყობა, "ბუნებაში გაიყვანონ, კეთებით სწავლება რასაც ქვია. საინტერესო იქნება სამეცნიერო პიკნიკების მოწყობაც", პროფესიის არჩევანში დახმარება, კოლეჯების დაარსება, სადაც გოგონებიც ისწავლიან. ამასთან, ჟღერდა გენდერულად მიკერძოებული შეფასებები და გენდერული სტერეოტიპების გავლენა: "ექსტრემალურ სიტუაციებში მამაკაცის ტვინი მაინც სძლევს, " "გოგონებს ნაკლები ინტერესი აქვთ მეცნიერების მიმართ" (მარნეული)"

გოგოებს ხელსაქმე ასწავლონ, ბიჭები გალესვას ან კაფელის დაგებას, ხეზე მუშაობას ისწავლიან”.

იყო მცდელობები აეხსნათ ეს ვითარება და გამოეკვეთად ხელისშემშლელი ფაქტორები: ”ზოგჯერ ისეც შეიძლება ხდებოდეს, რომ ქალს ოჯახი უშლის ხელს აქტიურად ჩაერთოს მსგავს ღონისძიებებში და იაქტიუროს. აზერბაიჯანელი პედაგოგების ჯგუფში კვლევ დომინირებდა დისკუსია გოგონების გათხოვების შესახებ და ოჯახი გადაწყვეტი როლის შესახებ გოგონას მომავალი არჩევანის განსაზღვრაში: даже такие девочки которые хорошо занимаются, всё оставляют и выходят замуж. Всё зависит от семьи,” ”в этом году была девочка, которая очень хорошо училась но она не продолжила учёбу потому, что знала, что у родителей нет возможностей” ამ ჯგუფში დაიხატა იმგვარი სურათი, რომ გოგონების ინტერესები პირდაპირ კავშირშია მშობელთა ეკონომიკურ მდგომარეობასთან და რომ ერთადერთი ალტერნატივა გოგონებისთვის არის გათხოვება: Если у семьи нету возможности учить, тоже лучше замуж выйти”.

კვლავ გამოირჩეოდნენ ნინოწმინდის ჯგუფის მონაწილეები იმ განწყობით, რომ მათი აზრით ამ მხრივ მათ თემში პრობლემა არ არის: ”ჩვენთან ვინც სწავლობს, ის გამოხატავს შემეცნებით ინტერესებს. ჩვენს სოფელში გოგოებს მანქანის შეკეთებაც კი შეუძლიათ” (სოფ სათხეს მასწავლებელი)

რომელია გოგონებისთვის ყველაზე შესაბამისი პროფესია/ ები?

მონაწილეთა უმეტესობა აფიქსირებს აზრს, რომ ყველა პროფესია მისაღებია ქალისთვის. ნინოწმინდის ჯგუფის მამაკაცი მონაწილე აკონკრეტებს, რომ პოლიტიკა ძალიან კარგია, ხოლო იმავე ჯგუფის მეორე მამაკაცი ამბობს, რომ ”სპორტიც ძალიან უხდება ქალს”, ერთადერთი, რაც მიუღებელია არის მძიმე ფიზიკური შრომა, მაგალითად სახელდება: მემახტე, ხელოსანი, მძლოლი. დანარჩენი მონაწილეები მაინც გამოჰყოფენ უფრო სასურველ პროფესიებს და საქმიანობას, ისეთებს როგორებიცაა: პედაგოგობა, ჰუმანიტარული პროფესიები, ეკონომისტი. მთავარი არგუმენტები ისაა, რომ ოჯახისთვის მეტი დრო უნდა დარჩეს. და კვლავ ტრადიციაზე აპელირებით 3 მონაწილე გამოთქვამს აზრს რომ ქალის მთავარი საქმე ოჯახი და დიასახლისობაა.” ალბათ, ქალი დიასახლისი უფრო უნდა იყოს” (ახალციხე).

გყავთ თუ არა ჩართული მშობლები რაიმე სასკოლო ან კლასგარეშე აქტივობებში? რა სახით/ რომელში?

მონაწილეები ასახელებენ მშობელთა კომიტეტებს და სამეურვეო საბჭოებს, როგორც ინსტიტუციონალურ ფორმას, თუმცა ნაკლებგააქტიურებულ ფორმას სკოლისა და მშობლის ურთიერთობის. სახელდება ისეთი ფორმა, როგორიცაა მშობელთა თვეში ერთხელ მორიგეობა სკოლაში, ექსკურსიებისა და ღონისძიებების დაგეგმვა. მშობელთა კრებები კვლავ ყველაზე გამოყენებული ფორმაა მშობლის ჩართვის და ინფორმირების ”ნებისმიერი საკითხი როცა უნდა გადაწყდეს ინიშნება მშობელთა

კრება და საერთო აზრით ვიღებთ გადაწყვეტილებას”. მარნეულის ჯგუფის პედაგოგები ასევე აღნიშნავენ, რომ მშობლის როლი და დაინტერესება შვილის სასკოლო ცხოვრებით მხოლოდ მე 5 კლასამდე იჩენს თავს, ”მერე სკოლაშიც არ მოდიან”. აღსანიშნავია, რომ როცა მშობლებზე ლაპარაკობენ, ფაქტობრივად გულისხმობენ მხოლოდ დედებს. მამებს სრულიად პასიური როლი აქვთ ამ პროცესში. საერთო სპორტულ ღონისძიებებში(მშობლები-ბავშვები) მამები კვლავ ერიდებიან თავის გამოჩენას, სავარაუდოდ კაცის ტრადიციული როლიდან გამომდინარე, რომელიც ბავშვის აღზრდის საკითხებიდან მის დისტანცირებას გულისხმობს:” ჩვენთან მშობლები ჩართულები არიან სპორტულ აქტივობებში, დედებიც და მამებიც, თუმცა მამები უფრო პასიურად იყვენენ ჩართულები. მშობელთა კრებაზეც სულ დედები დადიან (ნინოწმინდა).

აქვე დავამატებ, რომ როგორც ჩანს მცირეკონტინგენტის სკოლებში მასწავლებელ-მშობლის ურთიერთობა უფრო მჭიდრო და ყოველდღიურ ხასიათს ატარებს.

გიმუშავიათ თუ არა გოგონებისა და ბიჭებისგან შედგენლ შერეულ ჯგუფებთან რაიმე პროექტზე? როგორ მუშაობს ასეთი ჯგუფი?

ყველა ჯგუფში, გარდა მარნეულისა აღნიშნა რომ ასეთი პროექტები სულ აქვთ და რომ ყველა სასკოლო პროექტი ერთობლივად კეთდება შერეულ ჯგუფებში. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ასეთი ჯგუფები უფრო კარგად მუშაობენ, გოგონები და ბიჭები: ” გვიმუშავია და ბევრად უკეთესია, უფრო შინაარსიანია, მეტი ინტერესი აქვთ, მეგობრდებიან ბიჭები და გოგონები”. ამ აზრთან დაკავშირებით ჯგუფებში სრული კონსენსუსია. მარნეულის ჯგუფის მონაწილეები კი აღნიშნავენ, რომ ასეთი პროექტები ადრე იყო, ახლა ასეთი ღონისძიებები აღარ არის. ასახელებენ მხოლოდ ექსკურსიებს, სადაც ისევ ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე დადიან.

რა სასკოლო და ზოგადად, საგანმანათლებლო ღონისძიებები გესახებათ სასურველად გოგონების და ბიჭების თანასწორობის მისაღწევად?

ამ საკითხზე გამოითქვა მრავალფეროვანი აზრები და რამდენიმე საინტერესო და უკვე აპრობირებული ღონისძიება იყო დასახელებული:

- სკოლიდან გასვლა, ლაშქრობები, ექსკურსიები, შემეცნებითი გასვლითი და კლასგარეშე ღონისძიებები;
- კვლევითი პროექტების გაკეთება;
- ინფორმირებულობის ასამაღლებლად ტრენინგები და მერე გაიმართოს დისკუსიები, დებატები;
- ერთობლივი ღონისძიებები - გოგონებმა და ბიჭებმა ერთდ იმუშაონ;
- მასწავლებლები ხშირად უნდა ესაუბრონ და შეახსენონ რომ თანაბარი უფლებები აქვთ და განსხვავება არ უნდა გაკეთდეს გოგოსა და ბიჭს შორის; ერობლივი ღონისძიებები უნდა გაკეთდეს და ერთად უნდა იმუშაონ და იურთიერთონ;
- გოგოს და ბიჭს შორის მეგობრობას უნდა შეეწყოს ხელი;
- სკოლებს შორის მეგობრობა, სპეციალისტების მოწვევა;
- მშობლებთან და საერთოდ საზოგადოებასთან ინტენსიური სამუშაოები არის ჩასატარებელი გენდერული თანასწორობის კუთხით;

- მშობლები ჩავრთოთ ღონისძიებებში, თვითონ მშობლებმა გააკეთონ საზაფხულო ბანაკი, „ქალთა ოთახში“ მათი მოწვევა და საუბარი მათთვის ავტორიტეტულ პიროვნებებთან: თუნდაც პოლიტიკოსთან ან პედაგოგთან, იურისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- მამაკაცების მამაკაცებთან საუბრები;
- ტრენინგები ბავშვებისა და მასწავლებლებისთვის ბულინგის (სასკოლო ძალადობა) თემაზე, ტოლერანტობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, ძალადობასთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხებზე: ვის მიმართონ და ა.შ. ტრენინგები საჭიროა ბავშვებისთვისაც, მასწავლებლებისთვისაც.

დაინტერესებულია თუ არა თქვენი სკოლა, რომ მასში განხორციელდეს „გენდერული თანასწორობის და გაფართოებული კარიერული არჩევანის პროგრამა“?

მონაწილეებმა გამოხატეს, ასეთი ინიციატივის მიმართ დიდი ინტერესი, მათ სკოლაში განხორციელების სურვილი და მზაობა. გამონაკლისის გარეშე დადებითი პასუხებია ყველა ჯგუფში. ახალციხის ჯგუფის წევრი დასძენს, რომ მართალია ამაზე ბევრს კი საუბრობენ, მაგრამ მიზნობრივი პროექტები არ არის. წალკელი პედაგოგი ამბობს, რომ დიდი ინტერესია სკოლებიდან და თანაც ამის გამოცდილება უკვე აქვთ (გულისხმობს სამოქალაქო განათლების ფარგლებში საუბრებს გენდერზე). ნინოწმინის ჯგუფის წევრი მამაკაცი ამბობს, რომ ხალხს მუდმივად სჭირდება თანასწორობის შესახებ სწავლება, რადგან:” ჩვენ ხალხში თანასწორობა არ არის”. მარნეულის ჯგუფში ასევე ძალიან პოზიტიური განწყობაა: ”ныло ны очень хорошо”

მშობელთა განწყობები

ამ ჯგუფში ჩატარებულ დისკუსიას სპეციფიკური მიზანი ჰქონდა. გვსურდა გაგვერკვია, რა ორიენტაციას აძლევენ მშობლები თავიანთ ქალიშვილებს, რა მომავალი სურთ მათთვის, როგორ აფასებენ მათ და რამდენად იციან და ითვალისწინებენ მათ სურვილებს. საინტერესო იყო იმის გაგება, თუ რამდენად იციან თანამედროვე შესაძლებლობების და მოთხოვნების შესახებ და ხომ არ ქმნიან თვითონ თავიანთი შეხედულებებით და ქცევით ბარიერს გოგონების თავისუფალი განვითარებისთვის.

როგორ აფასებენ თავიანთი ქალიშვილების სასკოლო წარმატებებს?

მშობლების დიდი უმრავლესობა ძალიან დადებით შეფასებებს აძლევ თავიანთი შვილების წარმატებებს. პირველ რიგში აფასებენ მათ სკოლაში აქტივობის მიხედვით, ეს შეფასება 7 მა მშობელმა გამოიყენა, შემდეგ მოდის კარგი სწავლა, სამი მათგანი ოქროს მედალოსანია, 4 ათოსანი. პოზიტიური შეფასებებიდან ასევე თითოჯერ დასახელდა ნიჭიერება და კითხვის სიყვარული (როგორც ნიჭის კომპენსაცია, მშობლის აზრით). უარყოფითი შეფასებებიდან დასახელდა მხოლოდ სიზარმაცე და ”ცოტას მუშაობს” (ანუ მეცადინეობს).

აზერბაიჯანელი მშობლებისგან არ ხდებოდა ქალიშვილების შეფასება, მხოლოდ ახსენეს მათი სამომავლო გეგმები: "სურს, რომ ჩააბაროს სახელმწიფო გამოცდები". ამ ჯგუფის ერთ-ერთი მშობელი კი ამბობს, რომ აღარ ასწავლიან ქალიშვილს, არამედ გაათხოვებენ მალე:" Мы учить не будем дочку она не хочет, мы в прошлом году обрुчили, наверно через год будем свадьбу играть".

რა საგნები მოსწონთ ყველაზე მეტად?

მშობელთა ორი მესამედი აღნიშნავს, რომ მათ ქალიშვილებს მოსწონთ და მიდრეკილება აქვთ ჰუმანიტარული საგნებისადმი (ენები, ისტორია). 5 მშობლის აზრით მათ შვილებს საბუნებისმეტყველო (ბიოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა) საგნები მოსწონთ და ქვთ მიდრეკილება. 4 მშობელის აზრით კი მათ შვილებს ყველა საგანი ერთნაირად მოსწონთ და გამოსდით. ნახსენები იყო მასწავლებლის როლიც:" ჩემსას უყვარს მათემატიკა და ისტორია მასწავლებლიდან გამომდინარე".

მოწონების აღსანიშნავად იყენებენ აქტიური ფორმის სიტყვებს "აინტერესებს" და "ძლიერია" და უფრო ნაკლებად "კარგად სწავლობს", რაც ალბათ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მათ იციან თავიანთი ქალიშვილების ინტერესების შესახებ, რაც შეიძლება ყოველთვის არ ფარავდეს ცნებას "კარგად სწავლობს". ერთ-ერთი აზერბაიჯანელი მშობლის აზრით, მის შვილს არაფერი მოსწონს და საერთოდ სუსტად სწავლობს.

რა საქმე გამოსდით ყველაზე კარგად?

დასახელებული საქმეებიდან 16 ჯერ დასახელდა საქმიანობა ე.წ. ფემინური, საოჯახო არსენალიდან: კულინარია, კერვა, ქსოვა, ბისერით მძივების კეთება, "სადიასახლისო საქმეები". საინტერესოა, რომ დისკუსიაში ზოგიერთმა მშობელმა აღნიშნა საქმეები, რომელთა კეთებაც არ უყვართ მათ შვილებს და ესენი კვლავ "ქალის საქმეებია" : "არ უყვართ სამზარეულოში საქმე, არცერთ გოგონას" ან "არ უყვარს ჭურჭლის რეცხვა". გენდერულად ნეიტრალური საქმეები, რომლებიც მათ შვილებს გამოსდით არის: ხატვა, სასკოლო პროექტები და საზოგადოებრივი საქმეები, კომპიუტერი, ცეკვა. ამასთან, აზერბაიჯანელი მშობელი ამ საქმიანობას საყვედურნარევი ფრაზით მოიხსენიებს: целый день сидит за компьютером" თითქოს ეს არ არის გოგოს საქმე. დმანისელი დედაც თითქოს საყვედურით აღნიშნავს მისი შვილის გატაცებას ინტერნეტით, თუმცა ასევე ჩანს, რომ ამაცობს მისი წარმატებით და კარგადაც ერკვევა, თუ რას აკეთებს მისი ქალიშვილი: "უფროსი ინტერნეტში ბევრს ძრომიალობს და რაღაც როკ ჯგუფის ვებ გვერდის ავტორი გახდა, სამი გვერდის ადმინია". საყვედური ისმის თუ გოგონა არ გამოხატავს ინტერესს საოჯახო საქმეებისადმი: "უფროსი განსაკუთრებულად ნიჭიერი და განსაკუთრებულად ზარმაცია და კონტროლის გარეშე დამოუკიდებლად არაფერს გააკეთებს. არ უყვარს საქმის დაწყება".ერთი მშობელი ხაზს უსვამს ქალური საქმეების კეთებისას კრეატიულ ელემტს: "უყვარს ქარგვა, კერვა, ინოვაციური იდეები აქვს ხოლმე."

და აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ არც ერთ შემთხვევაში არ დასახელდა საპირისპირო სქესისთვის მიწერილი რაიმე საქმიანობა.

შეგიძლიათ თუ არა კომპიუტერთან მუშაობა? ინტერნეტით სარგებლობა? სად არის კომპიუტერი?

ეს შეკითხვა დასმული იყო, რათა მშობელთა (დედების) სიახლეებისადმი და მათი შვილების სამყაროსადმი დისტანციაზე შეგვექმნოდა წარმოდგენა. ასევე იმისთვის, რომ გარკვეულიყო რამდენად მიუწვდებათ ხელი დედებს საერთო კომპიუტერზე და შესაბამისად ინფორმაციაზე. ახალციხის ჯგუფის მონაწილეები ერთხმად ამბობენ, რომ ყველას აქვთ უნარები და სახლშიც აქვთ კომპიუტერი. დისკუსიიდან ირკვევა, რომ კომპიუტერი შვილებისთვისაა ნაყიდი და მათი მიზნებისთვის განკუთვნილი. დედებს, მხოლოდ იშვიათად აქვთ საშუალება ისარგებლონ, თუკი აქვთ ამის უნარი, რადგან კომპიუტერი დაკავებულია, ან თვითონ მშობელს არ აქვს დრო. უმეტესობა შემთხვევაში ოჯახებში აქვთ ერთი კომპიუტერი საერთო სივრცეში: "კომპიუტერი დგას ლოჯში და მე ბოლო რიგში ვარ" ამბობს მონაწილე დმანისის ჯგუფიდან, ან "компьютер стоит в зале кто хочет тот и сидит". მხოლოდ 3 მონაწილე აღნიშნავს, რომ არ იყენებს კომპიუტერს, არ იცის. რისთვის იყენებენ:

ინტერნეტი ინფორმაციისთვის პოლიტიკაზე, ვარსკვლევების ცხოვრებაზე, სოციალური ქსელი (ერთ შემთხვევაში) ქსოვა და ტანსაცმლის შესახებ ინფორმაცია.

თქვენ ქალიშვილს აქვს კომპიუტერული უნარები? სარგებლობს ინტერნეტით? რამდენი დრო აქვს ამისთვის?

მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, მათ ქალიშვილებს აქვთ კომპიუტერული უნარები და ზედმეტად დიდი დროს ატარებენ კომპიუტერთან: "თუ არ ვაკონტროლე, განუსაზღვრელი დროით შეუძლია იჯდეს". რისთვის იყენებენ ინტერნეტს? მუსიკა, ფილმები, მეგობრებთან საუბრობენ. დმანისის დისკუსიაში გამოჩნდა კიდევ ერთი ტენდენცია, თუ ოჯახში ბიჭიცაა, პირველ რიგში კომპიუტერი მისია:" ჩემთან როცა ბიჭი გასულია, ზის გოგო, მაგრამ როგორც კი ბრუნდება სახლში, ეგრევე ეგ უნდა დაჯდეს" მსგვს აზრს ჯგუფის 4 მონაწილე აფიქსირებს. მარნეული ჯგუფის მონაწილეთა ქალიშვილებიდან ყველას აქვს კომპიუტერული უნარები და სარგებლობენ ინტერნეტით, თუმცა მშობლები არ უყურებენ ამას დადებითად. მართალია ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ქალიშვილს სპეციალურად უყიდეს Laptop-ი.

მისდევს თუ არა თქვენი ქალიშვილი რაიმე სპორტს? თქვენ მიგაჩნიათ თუ არა ეს საჭიროდ? რისთვის?

მხოლოდ ორი მონაწილე აღნიშნავს, რომ მისი ქალიშვილი დადის სპორტზე. ეს სპორტია; აკრობატიკა (მარნეული), კარატე (დმანისი). საგულისხმოა, რომ ის გოგნა, რომელიც ადრე დადიოდა კარატეზე ახლა ფეხბურთზე დადის, თუმცა მშობელს მისი "არაქალური" სპორტული გატაცებების მიმართ არაერთგვაროვანი

დამოკიდებულება აქვს. გამოჩნდა ახალი ტენდენცია, რომელიც გოგონების ჯგუფშიც დაფიქსირდა: რამდენიმე გოგონა დილაობით ერთად დარბის სტადიონზე (დმანისი).

საინტერესო იყო ასევე მშობელთა დამოკიდებულება გოგონების სპორტული ცხოვრების მიმართ, რათა გაგვეგო ხომ არ ქმნიან თვით მშობლები გარკვეულ ბარიერს, გარდა გარეშე ხელისშემშლილი ფაქტორების, როგორებიც გამოვლინდა: სპორტული დარბაზების და მოედნების არარსებობა, სექციების ვერ ჩამოყალიბება, არ ტარდება სკოლაში, და ა.შ. მშობელთა უმეტესობამ გამოავლინა დადებითი დამოკიდებულება, რომელსაც სხვადასხვა არგუმენტით ამაგრებდნენ: "მინდა გაძლიერდეს", "საჭიროა ჯანმრთელობისთვის", " შეიძლება ბავშვმა კარგად ვერ ისწავლოს, მაგრამ გახდეს კარგი სპორტსმენი", " რომ განიმუხტოს" და ა.შ.

ცალკე აღსანიშნია სამი მშობლის დამოკიდებულება: ორმა მშობლემ მარნეული ჯგუფიდან გვითხრეს, რომ არ თვლიან სპორტს მნიშვნელოვნად და არ იციან რისთვის არის ის საჭირო გოგონასთვის, ხოლო ერთი დედა დმანისის ჯგუფიდან შემდეგ საფრთხეს ხედავს: "რომელი გოგოც სპორტს მისდევს რაღაცა ქალური ეკარგებათ, ქალი უნდა იყოს ნაზი და ქალური". რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს საქმეში გენდერული სტერეოტიპის გავლენა.

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ გამოხატავს საზოგადოება თავის დამოკიდებულებას, თუ მათ რაიონში, დაბაში, სოფელში ქალი დაკავდება სპორტით, მაგალითად ირბენს:

"იფიქრებენ გაგიჟდაო", "იფიქრებენ, რომ ამისთვის გცალია" (რაც ნიშნავს, რომ წესით არ უნდა გეცალოს).

ამგვარად საკითხის ექსტრაპოლირებამ გამოიწვია ნამდვილი სტერეოტიპების და ბარიერების გამოვლენა - საზოგადოება წინააღმდეგია ქალი რომ იყოს სპორტით დაკავებული, ეს მის ოჯახს ლაქას დაასვამს, ეს არ არის ნორმალური, ქალი მუდმივად დაკავებული უნდა იყოს და ჯანმრთელობაზე არ ფიქრობდეს, ქალი, რომელიც დარბის, ცუდი ყოფაქცევის ქალია" ასეთი აზრები გამოთქვეს მონაწილეებმა.

როგორ ხედავთ თქვენი ქალიშვილის უახლოეს მომავალს?

მშობელთა უმეტესობა ხედავს თავიანთი ქალიშვილებს უმაღლეს სასწავლებლებში მათი (გოგონების მიერ) არჩეული პროფესიის მიხედვით. ერთი მონაწილე მარნეულიდან ამბობს, რომ მისი ქალიშვილი იქნება კარგი დედა და დიასახლისი. დმანისელი მშობლები ასევე თვლიან საჭიროდ, რომ მათი ქალიშვილები გათხოვდნენ, თან 3 მშობელი აზუსტებს, რომ ეს უნდა მოხდეს 25 წლამდე, თუმცა ჯერ სწავლა და დასაქმება უნდა მოასწრონ: " მინდა რომ კარგი სამსახური ქონდეს და 25 წლამდე გათხოვდეს". ერთი მშობელი კი ახმოვანებს სავარაუდოდ 25 წელთან დაკავშირებულ გენდერულად დისკრიმინაციულ სტერეოტიპს:

ისწავლოს, იმუშაოს და 25 წლამდე აუცილებლად გათხოვდეს და შვილი გააჩინოს, მე რომ მამაკაცი ვიყო, 25 წლის ზემოთ ქალს არ მოვიყვანდი ცოლად იმიტომ, რომ ქალი 25 წლამდე მამაკაცს შეუძლია მოირგოს, მერე უკვე აღარ".

არის ისეთი საქმე, რაც არ უნდა აკეთოს გოგონამ? რატომ?

ეს შეკითხვა ჯგუფებში ასევე პირდაპირ მიუსადაგეს თავიანთი ქალიშვილების მომავალს და არჩევანს. ამიტომ დისკუსიისას ისმოდა ფრაზები: "მე არ ვურჩევ" ან "არაფერს დავუშლი, ან" არ მივცემ ამის უფლებას".

იმ სიიდან თუ რა არ უნდა აკეთოს ქალმა ყველაზე ხშირად გვხვდება *ფიზიკურად მძიმე სამუშაო*. დასახელებულებიდან დანარჩენი ალბათ უნდა გაერთიანდეს კატეგორიაში: "არაა შესაფერისი" ესენია: პროკურორი, გეოლოგი, გამომძიებელი, ჯარი. რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ ქალი 6 საათისთვის სახლში უნდა იყოს ამიტომ საქმეები, რომელიც მოითხოვს 6 საათის მერე სამსახურში ყოფნას ან ღამის ცვლებს მათთვის მიუღებელია. ორი დედა კი ამ აზრს იმითაც ამაგრებს, რომ მათ არ მიუწვდათ ხელი, ან მშობლებმა დაუშალეს და ამიტომ თვითონ არავითარ შემთხვევაში არ დაუშლიან თავიანთ ქალიშვილებს.

ამის საპირისპიროდ, 4 მონაწილე საკმაოდ პრინციპულად აფიქსირებს აზრს, რომ ქალისთვის ყველაფერი მისაღებია.

ამ საკითხზე საკმაოდ დიდი განსხვავება აღმოჩნდა აზერბაიჯანულ და სხვა ჯგუფებში მიმდინარე დისკუსიებს შორის. ასე, მარნეულის ჯგუფში მშობლებმა დაიწყეს საუბარი არა საქმიანობაზე, არამედ გოგონასთვის მიუღებელ ქცევაზე: არ უნდა ისეირნოს ბევრი, უნდა იყოს სახლში, არ უნდა იმეგობროს ბიჭებთან, უნდა დაუჯეროს მშობლებს- თვლიან გოგონების მშობლები მარნეულის ჯგუფიდან.

რა აზრის ხართ, თუ თქვენი ქალიშვილი სხვა ქალაქში ისურვებს სწავლის გაგრძელებას?

ამ საკითხზე ასევე პოლარულად განსხვავდება პასუხები აზერბაიჯანულ და ქართველ მონაწილეებს შორის. ქართველი მშობლები ამბობენ, რომ ყველანი მომხრეები არიან, მათ შორის საზღვარგარეთ "მეგაპოლისში" თუ წავა მათი შვილი ხელს შეუწობენ, გადასახადებს გადაუხდიან თუ შეძლებენ და ცხოვრების პირობებს შეუქმნიან. აზერბაიჯანულ საზოგადოებაში ამაზე, ჩანს ძლიერი აკრძალვები და შიშები მოქმედებს:

"нет, мы бы одну в чужом городе не оставляли бы учиться, это очень опасно", "если там знакомые или родственники были бы, тогда можна было бы", "нет, муж не пустил бы дочку", "нет я не могу пустить, у меня страх какой-то, девочка молодая, в чужом городе".

რა აზრის იქნებით, თქვენმა ქალიშვილმა მანქანის მართვა რომ მოისურვოს?

აღმოჩნდა, რომ მანქანის ტარებასთან დაკავშირებით გენდერული სტერეოტიპები პრაქტიკულად აღარ გვხვდება. ყველა ჯგუფში მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ ამის საჭიროებას და რომ ხელს შეუწყობენ თავიანთ ქალიშვილებს. იგივე ხასიათის

პასუხებია აზერბაიჯანულ მონაწილეთა შორის: "моя дочка собирается на следующий год здать на права, и мы ее поддерживаем". საინტერესოა, როგორ ეთანხმება მანქანის ტარება სახლიდან გასვლის ტაბუს?

რას ფიქრობთ სკოლის ასაკში გათხოვილ გოგონებზე?

მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ მოვლენას უარყოფითად აფასებს და ამას საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებენ. არგუმენტებიდან გამოიყოფა, ასე ვთქვათ, **ჩამოყვალიბლობის არგუმენტი**: "ამ ასაკის გოგონებს ჯერ არ აქვთ ჩამოყვალიბებული რა უნდათ ცხოვრებაში, " გონებრივად და ფსიქიკურად არ ესმით რაა ოჯახი და შვილი", ასევე **დანაკარგის არგუმენტი**,: "ვერ ირგებენ ბავშვობის ულამაზეს წლებს", "კარგავენ განათლების შესაძლებლობას, ცხოვრებაში მერე ვერ რეალიზდებიან", " они должны выучиться, по путешествовать, всему своё время".

ერთ-ერთ მონაწილეს მოჰყავს ჯავახეთის მაგაითი, სადაც თვითონ მუშაობს და სადაც ეს ძალიან ხშირია. აზერბაიჯანული ეროვნების მონაწილეთაგან ორი საკმაოდ დადებითად უყურებს ამას, იმ შემთხვევაში, თუ კარგი ბიჭი შეხვდა. "კარგმა საქმრომ შეიძლება სწავლის უფლებაც კი მისცეს" (მარნეული).

